



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

„თაღლითობის კვალიფიკაციის პრობლემური საკითხები“

სტუდენტი: ზურაბ ნადირაშვილი

თემის ხელმძღვანელი:

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქტორი *ირაკლი დვალიძე*

სარჩევი

შემოკლებანი.....	3
შესავალი.....	4
თავი I. თაღლითობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.....	6
1.1 თაღლითობის ცნება.....	6
1.2 თაღლითობის საგანი.....	9
1.3 მოტყუება, როგორც თაღლითობის ხერხი.....	10
1.4 თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობა.....	14
1.5 დამდგარი ზიანის შეფასება.....	14
1.6. უმოქმედობით თაღლითობის შესაძლებლობა.....	17
1.7. სამეწარმეო რისკი და სოციალურად ადეკვატური რისკი.....	19
თავი II. თაღლითობა და დანაშაულის გამოვლინების ფორმები.....	22
2.1 თაღლითობის მომზადება და მცდელობა.....	22
2.1.1 თაღლითობის მომზადება.....	22
2.1.2 თაღლითობის მცდელობა.....	23
2.2 თანაამსრულებლობა და თანამონაწილეობა თაღლითობაში.....	25
2.2.1 თანაამსრულებლობა თაღლითობაში.....	25
2.2.2 თანამონაწილეობა თაღლითობაში.....	27
თავი III. დანაშაულთა ერთობლიობა და ნორმათა კონკურენცია თაღლითობისას.....	29
3.1 თაღლითობა და კრედიტის უკანონო მიღება.....	29
3.2 თაღლითობის გამიჯვნა მითვისებისგან.....	30
3.3 თაღლითობის გამიჯვნა მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისაგან.....	34
3.4 თაღლითობის გამიჯვნა ქურდობისაგან.....	37
3.5 თაღლითობა და დანაშაულთა ერთობლიობა.....	39
თავი IV. თაღლითობის ანალიზი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით და თაღლითობის სტატისტიკა.....	42
4.1. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.....	42
4.2 სამართლებრივი სტატისტიკა თაღლითობის შესახებ.....	47
დასკვნა.....	49
ბიბლიოგრაფია.....	52

შემოკლებანი

სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
სსრ	საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
ა.შ	ასე შემდეგ
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
შეად.	შეადარეთ
ციტ.	ციტირება
ე. ი	ესე იგი
რედ.	გამოცემის რედაქტორი
გვ.	გვერდი
წ.	წელი
ნომ.	ნომერი

შესავალი

ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება საკუთრების უფლებაა და მის მიმართ ჩადენილი დანაშაული საკმაოდ საშიშია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. თაღლითობა, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ერთ-ერთი სახე, საკმაოდ გავრცელებულია. ბოლო ათწლეულის განმავლობაში თაღლითობა, სტატისტიკის მიხედვით, სხვა დანაშაულებთან შედარებით მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლით გამოირჩევა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი არ შეცვლილა.¹ ასე რომ, იგი რჩება ერთ-ერთ იმ დანაშაულთა შორის, რომლის პრევენციაც სახელმწიფოს პრიორიტეტულად მიაჩნია.

ნაშრომის მიზანია თაღლითობის მაკვალიფიცირებელი იმ ნიშნების აღწერა, რომლებიც გაუადვილებს სასამართლოს თაღლითობის კვალიფიკაციას. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის პრობლემური ასპექტების განხილვა; ასევე, სასამართლო პრაქტიკის დროს დაშვებულ შეცდომებზე მითითება და თაღლითობის ზოგადი პრევენცია.

გარდა ამისა, ნაშრომში მოყვანილია სასამართლო პრაქტიკის მაგალითები, რომელთა გაანალიზების საფუძველზეც გამოიკვეთება ის პრობლემები, როგორებიცაა დამთავრებული თაღლითობისა და მისი მცდელობის სტადიების გამიჯვნა; თაღლითობის განსხვავება მონათესავე დელიქტებისაგან და სხვა.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - თაღლითობის დეტალურ დახასიათებას. მოცემულია დანაშაულის ცნება, ქმედების შემადგენელი თითოეული ნიშანი და მათი შეფასება, დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები. განხილულია მოტყუება, როგორც დანაშაულის განუყოფელი ხერხი. მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები და სხვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც თაღლითობას გამოარჩევს სხვა დანაშაულებისაგან და რომელთა განსაზღვრაც აუცილებელია ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის. ასევე, წარმოდგენილია იმ ზიანის შეფასება, რომელიც თან სდევს კონკრეტულ არამართლობიერ ქმედებას. ამასთან, შეფასებულია უმოქმედობა, როგორც თაღლითობის ჩადენის შესაძლო ფორმა.

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები იხ. ვრცლად <https://info.police.ge/page?id=115> (მოპოვების თარიღი 26.05.2019).

ნაშრომის მეორე თავში განხილულია თაღლითობის მომზადება და მცდელობა. ასევე, თანამონაწილეობა და თანაამსრულებლობა სისხლის სამართლის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებაში.

რაც შეეხება ნაშრომის მესამე თავს, აქ განხილულია ის მთავარი პრობლემური საკითხები, რომლებიც ნაშრომის ძირითად კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ამ კონკრეტული თავის მთავარ მიზანს წარმოადგენს თაღლითობის გამიჯვნა სხვა მონათესავე დელიქტებისაგან. შედარებითი ანალიზის საფუძველზე განმარტებულია, თუ რა განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს თაღლითობას კრედიტის უკანონო მიღებისაგან, ასევე მითვისებისგან და სხვა მონათესავე დელიქტებისაგან. ასევე, განხილულია საკითხი, თუ კონკრეტულად რომელ შემთხვევებშია სახეზე თაღლითობა და დანაშაულთა ერთობლიობა.

ნაშრომის მეოთხე თავში განხილული იქნება თაღლითობის გამიჯვნა მსგავსი სამოქალაქოსამართლებრივი შემთხვევებისაგან, რათა არ მოხდეს დანაშაულისათვის თავის არიდება სამოქალაქოსამართლებრივ დარღვევასთან მისი მიმსგავსებით.

მეხუთე, დასკვნით თავში, განვიხილავთ მაგალითებს, რათა ზუსტად შეფასდეს ის საფრთხეები, რომლებიც არსებობს არასწორი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. ასევე, მოყვანილია ბოლო წლების სტატისტიკა, გამოქვეყნებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ, აღნიშნული სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ასახავს იმ რეალობას, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ.

ამრიგად, ზემოაღნიშნული საკითხებიდან და პრობლემებიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია თაღლითობასთან, მის კვალიფიკაციასთან არსებული პრობლემური საკითხების გამოკვლევა, განხილვა და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე გამოსავლის მოძებნა.

თავი I. თაღლითობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

1.1 თაღლითობის ცნება

სსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს თაღლითობის დეფინიციას: „თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით“. როგორც აღნიშნული მუხლის ფორმულირებიდან ვხედავთ, თაღლითობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის მოტყუება. მოტყუება არის დანაშაულის ჩადენის ხერხი, ურომლისოდაც თაღლითობის ჩადენა შეუძლებელია. „საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა უმეტესობაში მათი ჩადენის ხერხი აქტიური მოქმედებით ხასიათდება, ხოლო თაღლითობისას დამნაშავის მოქმედებას უფრო ინფორმაციული ხასიათი აქვს.“²

მოტყუება თაღლითობის განუყოფელი ნაწილია და მის შემადგენლობაში შედის. იგი თავისთავად არ გულისხმობს სხვისი ქონების პირდაპირ დაუფლებას, მაგრამ არის საშუალება მის მისაღწევად. „მოტყუება ეს არის ჭეშმარიტების დამახინჯება, ან გარკვეული ფაქტების განზრახ დაფარვა მესაკუთრის შეცდომაში შესაყვანად, რათა დამნაშავემ მიაღწიოს მიზანს და დაეუფლოს სხვის ქონებას ან უფლებას ქონებაზე.“³

მოტყუება შესაძლოა იყოს ორი სახის - აქტიური და პასიური. აქტიურია მოტყუება, როდესაც პირი ცრუ ინფორმაციის მიწოდებით ცდილობს დაზარალებულის შეცდომაში შეყვანას, ხოლო პასიური - როდესაც იურიდიული ფაქტების დამალვით ზემოქმედებს დაზარალებულზე და შეცდომაში შეჰყავს იგი.⁴

როგორც ქართულ, ასევე რუსული სისხლის სამართლის კომენტარებში თაღლითობის მთავრი ხერხი მოტყუებაა „თაღლითობის დროს დამნაშავის მოქმედებათა ხერხი ატარებს ინფორმაციულ ხასიათს, ანდა ეფუძნება განსაკუთრებულ ნდობით გამსჭვალულ ურთიერთობებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის.“⁵ აქ ნახსენებია „განსაკუთრებით ნდობით განმსჭვალული ურთიერთობები“, რომელსაც ჩვენ ნდობის ბოროტად გამოყენებას ვუწოდებთ. ზოგიერთი მეცნიერი ნდობის

² იხ.: *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 498.

³ იხ.; იქვე გვ. 499

⁴ იხ.; იქვე გვ. 499

⁵ Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. (Под ред. Ю.И. Скуратова, В.М. Лебедева,) М., 1996 С. 377.

ბოროტად გამოყენებას ცალკე გამოყოფს, რაც დაუშვებელია. იგი არის მოტყუების სახეცვლილება. შესაბამისად, მისი განცალკევებით განხილვა შეცდომაა.

ჯერ კიდევ 1928 წლის საქართველოს სსრ კოდექსით თაღლითობა შემდეგნაირად იყო განმარტებული: „თაღლითობა ე.ი ანგარებით ქონების ან ქონებაზე უფლების მოპოვება ან ნდობის ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით“. მაშასადამე, ისტორიულად, თაღლითობის ჩადენის ერთ-ერთი მთავარ ხერხად სწორედ მოტყუება განიხილებოდა.⁶

თაღლითობის ობიექტს წარმოადგენს სხვისი საკუთრების უფლება, ხოლო საგანი შესაძლოა იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი. საკუთრების უფლება შესაძლებელია აღიარებული იყოს სხვადასხვა დოკუმენტით. მაგალითად, როგორცაა, ანდერძი, ამა თუ იმ ქონებაზე მინდობილობის მიღება და სხვა.⁷ როდესაც სახეზე გვაქვს თაღლითობა მოძრავი ნივთის მიმართ, აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს მისი უშუალო დაუფლება დამნაშავეს მხრიდან, რადგან მოძრავი ნივთების მიმართ თაღლითობის დროს პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისუფლად განკარგოს თაღლითობის საგანი, ნივთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე გვექნება თაღლითობის მცდელობა.⁸

როდესაც საქმე ეხება უძრავი ნივთის მიმართ თაღლითობას, აუცილებელი არაა, პირმა უშუალოდ მფლობელობაში მიიღოს ნივთი. საკმარისია, მან მიიღოს უფლება აღნიშნულ ნივთზე.⁹ ასევე, იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც დამნაშავე მოტყუებით ეუფლება ქონებრივ უფლებას, მაგალითად, გ.-მ შეადგინა ყალბი დოკუმენტაცია და ამ დოკუმენტაციის საფუძველზე გადაიფორმა მისი ბიძაშვილის კერძო სახლი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ სახლში არ ცხოვრობს და მოკლებულია მისი ფლობის შესაძლებლობას, თაღლითობა დამთავრებულია, გათვალისწინებით იმისა, რომ მან მიიღო ქონებრივი უფლება ნივთზე.

სხვისი ქონებრივი უფლების მიღება უნდა გავიგოთ, როგორც სხვის ქონებაზე საკუთრების უფლების მიღება. თუკი პირი მოტყუებით მიიღებს სხვისი ქონების არა საკუთრების, არამედ დროებით სარგებლობის უფლებას,

⁶ იხ.: *წულაია ზ.*, ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი., ინტელექტი თბ., 2001 გვ. 71

⁷ იხ.: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 499

⁸ იხ.: ვრცლად ამ ნაშრომის მეორე თავში მცდელობის სტადიის განსაზღვრის შესახებ მოცემულ მსჯელობაში, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზის საფუძველზე განხილული მცდელობის სტადია.

⁹ იხ.: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019 გვ 499

თაღლითობის შემადგენლობა არ გვექნება. მაგალითად, თუ პირი დროებით სარგებლობს სხვისი საკუთრებით მისთვის ბინის ქირის გადახდის გარეშე, ეს ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს თაღლითობად, რადგან თაღლითობა გულისხმობს არა დროებით, არამედ სამუდამო მისაკუთრების მიზანს და ამ შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება: „ქონებრივი დაზიანება მოტყუებით.“¹⁰ ამ შემთხვევაში, სსკ-ის 185-ე მუხლის ამსრულებელი არ გადასცემს მესაკუთრეს იმ ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის და ამ ხერხით ცდილობს მის დაზარალებას, ხოლო თაღლითობის დროს მთავარი ნიშანი, რითიც უნდა მოხდეს თაღლითობის დაკვალიფიცირება, არის სწორედ დამნაშავეს მხრიდან სამუდამო მისაკუთრების მიზნით რაიმეს ხელში ჩაგდება; უკვე მის ხელთ არსებულ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვება. ხშირ შემთხვევებში, თაღლითობის დროს მოტყუების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ყალბი დოკუმენტების წარდგენა, რა დროსაც თაღლითობის ჩამდენი თავს წარმოაჩენს, თითქოს, მას ჰქონდეს რეალური უფლება ნივთზე. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთმული მოსაზრების მიხედვით, ამ შემთხვევაში „დამნაშავეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლით და დამატებითი კვალიფიკაცია არ არის საჭირო“,¹¹ რადგან მიზანი ამ ყალბი დოკუმენტების წარდგენის იყო სწორედ თაღლითობის ჩადენა. ამგვარი მოსაზრება არ არის მართებული, რადგან ყალბი დოკუმენტის გამოყენება არის მოტყუების ისეთი ფორმა, რომელიც დამოუკიდებელი ტიპის უმართლობას აფუძნებს.

თაღლითობის დროს დაზარალებულ პირს სჯერა დამნაშავეს მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაცია, ენდობა მას და სწორედ ეს ქმედება გვაძლევს საშუალებას, დავაკვალიფიციროთ ქმედება თაღლითობად. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა პირმა იცის ცრუ ინფორმაციის შესახებ, გვექნება თაღლითობის მცდელობა.

თაღლითობა არის დელიქტი, რომელიც მდგომარეობს ქონების გადანაცვლებაში, ისევე როგორც, მაგალითად, ქურდობა.¹² თუმცა ეს ეხება მხოლოდ მოძრავის ნივთის ფარულად დაუფლებას.

თაღლითობად მიიჩნევა ასევე ისეთი შემთხვევა, როდესაც დაზარალებული მოტყუების გზით, ნებაყოფლობით, გადასცემს ნივთს, რომელსაც დამნაშავე

¹⁰ იხ. *გამყრელიძე ო., ტურავა, მამულაშვილი* ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2004. გვ 128

¹¹ იხ. *წულაია ზ.*, ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი., „ინტელექტი“ თბ., 2001 გვ. 71.

¹² *Tröndle / Fischer*, Strafgesetzbuch und Nebengesetze. 51 Aufl. München: C.H.Beck, 2003; 1659

უფლება, მაგრამ ნივთი არის დანიშნულებისამებრ განკარგვისთვის. ანუ აქვს გარკვეული მიზანი ამ გადაცემას, მაგრამ დამნაშავე მას უგუნებელყოფს. ასევე თაღლითობად კვლიფიცირდება შემთვევა როდესაც პირი აყალბებს ფულის ნიშანს, რათა მიჰყიდოს იგი კოლექციონერს.¹³

როგორც ზემოთ აღინიშნა, თაღლითობის დამთავრებულ დანაშაულად ჩათვლისთვის მთავარია, დამნაშავეს ქონდეს თავისუფალი განკარგვის უფლება ნივთზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თაღლითობა არ ჩაითვლება დასრულებულად.

1.2 თაღლითობის საგანი

თაღლითობის საგანს წარმოადგენს სხვისი უძრავი და მოძრავი ნივთი, ასევე სხვის ქონებაზე უფლება. როგორც იურიდიული კატეგორია, ეს უფლება შეიძლება სხვადასხვა დოკუმენტით იყოს აღიარებული (მაგალითად, ანდერძით, დაზღვევის პოლისით და სხვა).¹⁴ ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც თაღლითობის დროს ხდება მოძრავი ნივთების დაუფლება. ამ შემთხვევაში, უძრავი ნივთებისაგან განსხვავებით, დამნაშავე უშუალოდ უნდა დაეუფლოს ნივთს, რის შედეგადაც იგი მიიღებს მისი განკარგვის ფაქტობრივ შესაძლებლობას. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პირი ფაქტობრივად არ ფლობს ნივთს, მაგრამ უკვე განახორციელა სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. მაგალითად, ბ-მ მოტყუებით გადაიფორმა მეზობლის სახცოვრებელი სახლი, დაარეგისტრირა იგი საჯარო რეესტრში, მაგრამ ფაქტობრივად არ ფლობს ბინას. ამ შემთხვევაში სახეზე გვექნება დამთავრებული თაღლითობა, რადგან ამისათვის არ არის საჭირო უშუალოდ ქონების ფლობა. მან უკვე მიიღო ქონებრივი უფლება ნივთზე, ამ მომენტიდან მან განახორციელა ობიექტური შემადგენლობა. სტატისტიკურად დადასტურებულია, რომ თაღლითის მიერ საბუთების მიღების მომენტიდან, რომლებიც შეიცავს მითითებებს ქონებრივ უფლებებზე, დანაშაული ითვლება დამთავრებულად. იმის მიუხედავად, მოახერხა თუ არა პირმა მიიღო დანაშაულის საგანი ნატურით.¹⁵

განვმარტოთ, თუ რა არის უშუალოდ საკუთრების უფლების ობიექტები, საკუთრების უფლების ობიექტებია: „მიწა და მისი წყლები, ფლორა და ფაუნა,

¹³ *Жовнир С.А.*, Уголовно-правовая оценка лжепредпринимательства - журнал издательства «ОPTIM.RU». МГУ. 2003; с 43

¹⁴ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 499.

¹⁵ Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. (Под ред. *Ю.И. Скуратова, В.М. Лебедева.*) М., 1996; с 124

საწარმოები, წარმოების, ტრანსპორტისა და ინფორმაციის საშუალებები, საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, მატერიალური და სულიერი კულტურის სახლები, ფული, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ქვები, აგრეთვე სხვა მოძრავი და უძრავი ქონება. მესაკუთრის ქონების სამეურნეო და სხვა გამოყენების შედეგი, წარმოებული პროდუქცია, ნაყოფი და სხვა შემოსავალი.“¹⁶

საკუთრების მიმართ ჩადენილ დანაშაულებს აქვთ ფიზიკური პარამეტრები, ამიტომ ამ დანაშაულთა საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს ბურებრივი რესურსები და ის საგნები, რომლებზეც ადამიანის შრომა არაა დახარჯული.¹⁷ საკუთრების მიმართ ჩადენილ დანაშაულებში, თაღლითობის შემთხვევაში, საგანი შესაძლოა იყოს როგორც სამოქალაქო ბრუნვაში არსებული, ასევე სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგანი.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს, როგორც მოქალაქის ქონება, ასევე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონებაც. ამ საკითხისადმი უყურადღებო მოპყრობა არ შეიძლება, რადგან დაუდევარმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა, სასამართლო მცდარი გადაწყვეტილების მიღებამდე მიიყვანოს. მნიშვნელოვანია იმის გადაწყვეტა, თუ ვის ეკუთვნის თაღლითობის საგანი, რადგან უნდა გადაწყდეს, თუ ვის აუნაზღაურდება ზარალი.

1.3 მოტყუება, როგორც თაღლითობის ხერხი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის დეფინიციაში მოცემულია, რომ თაღლითობის ჩადენის ხერხი არის **მოტყუება**. მოტყუება ამ შემთხვევაში ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებაა¹⁸.

მოტყუება შედგება სამი ძირითადი ელემენტისაგან. ესენია: ა) ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება ბ) შედეგის დადგომის სურვილი და გ) ჭეშმარიტების დამალვისაგან. ჭეშმარიტების დამალვის დროს, მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ ჩადენს მას პიროვნება. მაგ., დაპირებით, დოკუმენტაციის

¹⁶ იხ. **წულაია ზ.**, ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი., ინტელექტი თბ., 2001 გვ. 71

¹⁷ **ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.**, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 456.

¹⁸ იხ.: **ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.**, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 499

წარდგენით (ყალბი დოკუმენტების) და ა.შ. მთავარია, განხორციელდეს მოყუება, რომელიც თაღლითობის თანმდევი(მუდმივი) ელემენტია.

თაღლითობის თავისებურება მის ხერხში მდგომარეობს: პირი უფლება სხვის ნივთს ან ქონებრივ უფლებას მოტყუებით და სხვა დანაშაულებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში დაზარალებული პირი თვითონ გვევლინება ქმედების შემადგენლობის განხორციელების ხელშემწყობ პირად, რადგან მისდა უნებურად გადასცემს მფლობელობაში თაღლითობის ჩამდენს დანაშაულის ობიექტს (ნივთს ან ქონებრივ უფლებას).

თაღლითობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ პირდაპირ არ ხდება მოტყუებით ნივთის დაუფლება ან მასზე უფლების მოპოვება, არამედ ეს არის ის ხერხი, საშუალება, რომლის დახმარებითაც დამნაშავე ასრულებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას. მოტყუება, ამ შემთხვევაში, არის სწორედ იმ ჭეშმარიტების დაფარვა, რომელიც სინამდვილეში არსებობს და ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანა. ეს უნდა მოხდეს პირდაპირი განზრახვით. ანუ თუ პიროვნებას არ აქვს შეცნობილი, რომ განზრახ ატყუებს დაზარალებულს, ამ შემთხვევაში თაღლითობად ვერ დავაკვალიფიცირებთ მის მიერ განხორციელებულ ქმედებას.

განასხვავებენ ორი სახის მოტყუებას - ესენია აქტიური და პასიური მოტყუება. აქტიური მოქმედებით მოტყუება მდგომარეობს დაზარალებულისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებაში, პასიური მოტყუებით კი ხდება იმ ფაქტების დამალვა, რომელთა არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დამნაშავეს ევალდებოდა. მოტყუება შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირ ფორმაში.¹⁹ ბოლო პერიოდში, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, გავრცელდა თაღლითობის ისეთი ხერხები, როგორცაა: სხვისი ქონების ან სხვის ქონებაზე უფლების მიღება კომპიუტერის გამოყენებით, ავანსის მიღება საქონლის მიცემის საბაზით და ა.შ.²⁰

ის ფაქტები და გარემოებები, რომელთა დაფარვითაც ცდილობს დამნაშავე შეცდომაში შეიყვანოს დაზარალებული, შესაძლებელია, სხვადასხვა იყოს. ის შეიძლება შეეხებოდეს, დამნაშავეს პიროვნულ თვისებებს, მის სამსახურებრივ მდგომარეობას, ასევე გარემოს, სამყაროს მოვლენებს და სხვა. არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, თუ რა სახის ტყუილს გამოიყენებს დამნაშავე მისი მიზნის მისაღწევად. ამ დროს დამნაშავეს მიერ ჩადენილი ყველა ქმედება უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში მის მიერ ქონების დაუფლებასთან.

¹⁹ იხ.; *ლევკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 498

²⁰ იხ.; იქვე

ლიტერატურაში განასხვავებენ ტყუილს და ნდობის ბოროტად გამოყენებას. თეორიულად, „აქ დამნაშავე იყენებს განსაკუთრებულ ნდობით აღსავსე ურთიერთობებს, რომლებიც ჩამოყალიბდა მასსა და ქონების მფლობელს, ან მესაკუთრეს შორის, რომლებიც როგორც წესი სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან ან შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს.“²¹

ზაურ წულაიას ნდობის ბოროტად გამოყენება ცალკე აქვს გამოყოფილი: „იგი არის თავისი შინაარსით მოტყუების ერთ-ერთი სახე, იმ თავისებურებით, რომ ამ დროს დამნაშავე არ ასრულებს ისეთ მოქმედებას, რასაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ქონების გამგებელი პირი და აიძულოს იგი გადასცეს ეს ქონება. ნდობის ბოროტად გამოყენება ეს ნდობის მოტყუებაა“.²² ნდობის ბოროტად გამოყენება ეს არის მოტყუების ნაირსახეობა და მისი ცალკე თაღლითობის დამოუკიდებელ ნიშნად გამოყოფა არ არის მართებული.

თაღლითობის დროს მოტყუება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. როგორც ხშირად ხდება, თაღლითობა ხორციელდება ზეპირი ფორმით და ეს თაღლითობის ქმედების შემადგენლობას სრულიად მოიცავს, მაგრამ როდესაც იგი წერილობით ხორციელდება ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ყალბი დოკუმენტაციის დამზადება. წერილობით ფორმას დამნაშავე მიმართავს იმ შემთხვევაში, როდესაც მას სჭირდება ქონებრივი მოთხოვნის გაფორმება.²³ თაღლითობა ზეპირად ხდება, როდესაც დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არის თბილი, უშუალო ურთიერთობა. იგი ხორციელდება მოლაპარაკების გზით, ნდობის მოპოვებით, როდესაც დამნაშავე ამზადებს ნიადაგს ნივთზე ან ქონებრივ უფლებაზე ნებაყოფლობით დაუფლებისთვის. ზეპირი მოტყუების გავრცელებული ფორმაა სიტყვიერი შეთანხმება. მაგ., როდესაც პირი პირდება ხალხს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ საზღვარგარეთ სამუშაოს დაწყებას, ამ დაპირების შესრულებას კი არ აპირებს.²⁴

მოტყუების დროს მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ დამნაშავეს ჰქონდეს საფუძველი და უშუალოდ არსებობდეს ფაქტი, რაც დაზარალებულს დაარწმუნებდა იმაში, რომ დამნაშავე სიმართლეს ამბობს და აღუძრავდა

²¹ Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. (Под ред. *Ю.И. Скуратова, В.М. Лебедева,*) *М., 1996; с 382*

²² იხ.; *წულაია ზ.*, ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი., ინტელექტი თბ., 2001 გვ. 76

²³ იხ.; ვრცლად Сборник падствовлений Пленума Президиума и определений Судебной коллегии по уголовным делам ВС РФ. М 1984 С 113

²⁴ იხ.: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 504

შინაგან რწმენას მისი ჭეშმარიტების შესახებ. დაზარალებულს არ უნდა ჰქონდეს არანაირი საფუძველი იმის ფიქრისა, რომ დამნაშავე იტყუება.

როგორც თაღლითობის დახასიათებიდან ჩანს იგი საკმაოდ მრავალფეროვანია ცხოვრებაში და ამიტომაც სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში განსხვავებული ასახვა ჰპოვა აღნიშნულმა ქმედებამ. მაგ., ინგლისის კანონმდებლობაში „თაღლითური“ მოტყუება ასახულია და გაფანტულია მრავალ კანონში. იგი, განსხვავებით საქართველოს და რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსებისაგან, ერთ ცნებაში არ არის ფორმულირებული. ინგლისში თაღლითობის ცნება საერთოდ არ არსებობს და იგი განმარტებულია როგორც „მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით.“²⁵ ამ კანონის მიხედვით, ქმედება არ ითვალისწინებს ქონებრივი უფლების მიღებას მოტყუებით. ამიტომ გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა ისეთი შემთხვევები, როდესაც მოტყუებით პირი იღებდა ადერძს, ასევე ხდებოდა მოტყუებით პირის მიერ ვალდებულებაზე თავის არიდება და ა.შ. ამიტომაც საჭირო გახდა სხვადასხვა კანონში ჩაწერილიყო თაღლითობის ცალკეული გამოვლინების ფორმები და დღეს ეს ნორმა დაქსაქსულია მრავალ კანონთა შორის; საბანკო საქმიანობის კანონში (1987), ფინანსური მომსახურების კანონში და სხვა. ²⁶

ასევე არის მიმოფანტული შვეიცარიის სისხლის სამართლის კანონებში თაღლითობის შემადგენლობის შემცველი დანაშაულები. ინგლისის მსგავსად, აქაც სისხლის სამართლის კოდექსი სხვადასხვა მუხლებად ითვალისწინებს თაღლითობის კვალიფიკაციას. მაგ., „ქონებრივი ზიანის ბოროტი მიყენება“ (149 მუხლი) „თაღლითობა სასტუმროში“ (150 მუხლი) და აშ.

აღნიშნული კოდექსების დეფინიციაში თაღლითობის განხორციელების მთავარი ხერხი სწორედ რომ მოტყუებაა. მოტყუების გარეშე თაღლითობის განხორციელება შეუძლებელია.

ამრიგად, მოტყუება არის საშუალება, რომელსაც თაღლითობის დროს იყენებს დანაშაულის ჩამდენი პირი, რათა მიაღწიოს თავის ჭეშმარიტ მიზანს. მოტყუების გარეშე თაღლითობა ვერ განხორციელდება. მოტყუება წინ უნდა უძღოდეს ნივთის დაუფლებას. მოცემული ფაქტი მნიშვნელოვანია, რათა თაღლითობა სხვა დანაშაულებისაგან გაიმიჯნოს.

²⁵ იხ. ვრცლად ინგლისის 1968 წლის ქურდობის კანონის მე-15 მუხლის განმარტება.

²⁶ იხ. Уголовное право зарубежных стран. Особенная часть. М., KARMON, „ 2004 С 42-44

1.4 თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობა

თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობის განხილვისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ დანაშაულის განზრახვა უნდა იყოს მიმართული უშუალოდ მოტყუებით დანაშაულის საგნის საკუთრებაში დაუფლებაზე და თავის სასარგებლოდ გადაქცევისაკენ.²⁷ ეს ორი ქმედება არა მხოლოდ თაღლითობის, არამედ ზოგადად სხვისი ქონების ან მოძრავი ნივთის დატაცებაზე, სხვადასხვა დანაშაულებშიც ვლინდება. ამიტომ თაღლითობა ერთ-ერთი საკმაოდ საშიში დანაშაულის სახეა. თუ ქმედებები, რომელთა, მართალია, მოტყუებითაა წარმართული, მაგრამ არ არის იმ მიზნით და მოტივით, რომ უსასყიდლოდ და უკანონოდ დაეუფლოს ქონებას და, ამასთანავე, არ აყენებს ზიანს ამ ქონების მეპატრონეს, ვერ განვიხილავთ თაღლითობად. მაგალითად, როდესაც პიროვნება ყალბი დოკუმენტების დამზადებით ცდილობს მოეწყოს სამსახურში, სადაც საკმაოდ დიდი ხელფასი ექნება, მაგრამ მიზანი არის შემდეგი, რომ დაიწყოს სამსახური და არა ის, რომ უსაფუძვლოდ მიიღოს სახელმწიფოსგან რაიმე სახის მატერიალური სარგო. ამ შემთხვევაში, არ გვექნება თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობა სწორედ იმის გამო, რომ პირს სურდა არა მოტყუებით პირდაპირი სახით მიღება სარგებლის, არამედ სამსახურის დაწყება, სადაც მუშაობის და სტაჟის პროპორციულად შეძლებდა თავისი წილი ხელფასის აღებას. ამ შემთხვევაში, თაღლითობის კვალიფიკაცია გამოირიცხება მიტაცების მიზნის არ არსებობის გამო.

სუბიექტური შემადგენლობით თაღლითობა, რა თქმა უნდა, განზრახვით ხასიათდება. დანაშაულის მოტივი არის ანგარება, საკუთრების დაუფლება, რომელიც მას კანონიერად არ ეკუთვნის, მას შეგნებული აქვს, რომ მოტყუებით ეუფლება ქონებას მასზე უფლების გარეშე, მაგრამ ისახავს „პარაზიტული გამდიდრების მიზანს“.²⁸

1.5 დამდგარი ზიანის შეფასება

თაღლითობის, როგორც ეკონომიკური დანაშაულის განხორციელების შემდგომ სახეზე გვაქვს დამდგარი ზიანი, რომელიც შეფასებას საჭიროებს, რადგანაც სისხლის სამართლის კოდექსში დიდი ხნის განმავლობაში არ იყო შეფასებული ზიანის ცნება და მისი განსაზღვრა სრულიად სასამართლოზე

²⁷ იხ.: *წულაია ზ.*, ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი., ინტელექტი თბ., 2001 გვ. 83-77

²⁸ იხ. *წულაია ზ.*, ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი., ინტელექტი თბ., 2001 გვ. 22.

იყო მინდობილი. საჭირო გახდა კოდექსში დაფიქსირებულიყო თუ რას წარმოადგენს ზიანი, რა რაოდენობის შემდეგ შეიძლება ზიანის მოცულობა ჩავთვალოთ განსაკუთრებულად დიდ ოდენობად და ა.შ.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სსკ-177 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე თავში (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, სსკ-ის 177-ე-189-ე მუხლები) დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით, ხოლო მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით“. კანონმდებელმა განსაზღვრა ზუსტად თუ რამდენი ლარის ღირებულების უნდა იყოს ესა თუ ის დანაშაულის ობიექტი. რაც შეეხება უშუალოდ მიყენებულ ზიანს „მიყენებული ქონებრივი ზიანის ოდენობა განისაზღვრება ნივთის ღირებულებით, რაც ფასშია გამოხატული. ქონების ღირებულების განსაზღვრისას საჭიროა დანაშაულის ჩადენის დროს არსებული სახელმწიფო, საცალო, საბაზრო ან საკომისიო ფასებზე დაყრდნობა. თუ ფასი ვერ დადგინდა, ქონების ღირებულება განისაზღვრება საექსპერტო დასკვნის საფუძველზე“²⁹.

საკამათოა საკითხი, როდესაც დამნაშავე ასრულებს რამდენიმე ერთიანი მიზნით მოცულ მრავალ ქმედებას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მართებულია ზაურ წულაიას მოსაზრება: „დამნაშავე როდესაც სჩადის რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ თაღლითობას, რაშიც რეალიზებულია მისი რამდენიმე, ცალ-ცალკე წარმოშობილი განზრახვა, ფულში გამოხატული ზიანის შეჯამება და დიდ ოდენობად დაკვალიფიცირება სწორი არ არის.³⁰ გამონაკლისს წარმოადგენს ერთიანი განგრძობადი დანაშაული, სადაც თაღლითობის ცალკეული ეპიზოდი მოცულია დამნაშავეს ერთიანი განზრახვით და დაუფლებული ქონების ჯამი დიდ ოდენობას ქმნის, ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ ქმედებით ორი ან მეტი პირია დაზარალებული. წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობით მიყენებული ზიანის ოდენობა შეიძლება შეჯამებულ იქნეს. ამ დროს თაღლითობით მოპოვებულ ქონებაში თითოეული დამნაშავეს წილი შეიძლება დიდ ოდენობას არ აღწევდეს, მაგრამ მისი ქმედება მაინც დაკვალიფიცირდება, როგორც თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით, ვინაიდან სახეზეა ჯგუფური დანაშაული. ეს განპირობებულია იმით, რომ ყველა დამნაშავე თაღლითობის თანაამსრულებელია. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ყველას განზრახვა მოიცავს

²⁹ *ლევკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019 გვ, 472

³⁰ იხ. *წულაია ზ.*, ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი., ინტელექტი თბ., 2001 გვ. 25

იმის შეგნებას, რომ ჯგუფის მიზანს დიდი ოდენობით თაღლითობით ქონების დაუფლება წარმოადგენს.“³¹

აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლო პრაქტიკა იმის შესახებ, თუ რას თვლის სასამართლო მნიშვნელოვან ზიანად და როგორ წყვეტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემას. თბილისის სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებულ საქმეზე, რომელშიც განიხილებოდა მ.გ-ს ბრალის დამტკიცების საკითხი სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში, სრულად დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას; „სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას მსჯავრდებულ მ. გ.-ს უდანაშაულობის შესახებ და მის შეფასებებს მომხდარ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლითაც ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობის ტვირთი, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა. მსჯავრდებულის პოზიციები ეწინააღმდეგება რეალურად განვითარებულ მოვლენებს და პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზე პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ მ. გ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაეუფლა დაზარალებულ ნ. ს.-ს კუთვნილ 7200 ლარს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ასევე, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ვითომდა 23 ცალი მობილური ტელეფონის შეღავათიან ფასებში შექენის მიზნით მოტყუებით ა. ნ.-სგან აიღო ფულადი თანხა 13000 ლარი, ხოლო თ. გ.-სგან 13100 ლარი. მ. გ.-მ არ შეასრულა ვალდებულება და ფულადი თანხა მოტყუებით მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა. აღნიშნული ქმედებით ა. ნ.-ს მიადგა 13000 ლარის დიდი ოდენობით ზიანი, ხოლო თ. გ.-ს - 13100 ლარის დიდი ოდენობის ზიანი“³² აღნიშნულ გადაწყვეტილების დასაბუთებაში ჩვენ ვხედავთ, რომ სააპელაციო სასამართლომ სამ პიროვნებას შორის მიყენებული ზიანი გაანაწილა ორად: პირველ ნაწილში, რომელიც განსხვავებულ ქმედებას მოიცავდა დააკისრა პასუხისმგებლობა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო მეორე ნაწილში, რომელშიც ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით განხორციელებული ქმედებას მოიცავდა, დააკვალიფიცირა სსკ-ის 180 მუხლის 3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ასე რომ, სასამართლო პრაქტიკაშიც მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ქმედების განხორციელებას. თუ მრავალი ქმედება ერთიანი მიზნით და საერთო განზრახვითაა ფორმულირებული, მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რამდენი

³¹იხ.: იქვე გვ.75

³²იხ. ვრცლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 7 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/ზ-85-18

ადამიანი დაზარალდა. კვალიფიკაცია ხდება ერთიანი სახით, რაც სრულიად სამართლიანია.

დასკვნის სახით, თაღლითობის კვალიფიკაციის დროს მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ შემადგენლობას და თუ დადასტურდა, რომ დამდგარი ზიანი იყო ერთიანი მიზნით და განზრახვით მოცული, კვალიფიკაცია მოხდება იმის მიხედვით, თუ რამდენი იყო ზიანის საერთო ღირებულება და არ მოხდება თითოეული ზიანის ცალ-ცალკე შეფასება.

1.6. უმოქმედობით თაღლითობის შესაძლებლობა

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ძირითადად პირდაპირი განზრახვით ხასიათდება და მიმართულია ქონების ან ნივთის არამართლზომიერი დაუფლებისკენ. ხშირ შემთხვევაში, ეს აქტიური მოქმედებით ხდება, მაგრამ სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს მისი ჩადენა უმოქმედობითაც.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, თაღლითობის მთავარი მახასიათებელი ნიშანი, ხერხი, არის მოტყუება, რომლის გარეშეც შეუძლებელია აღნიშნული ქმედების განხორციელება. თაღლითობის უმოქმედობა შესაძლოა მხოლოდ მოტყუების ხასიათიდან გამომდინარეობდეს, „მოტყუების, როგორც სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების, ორი სახე არსებობს: აქტიური მოტყუება გულისხმობს წინასწარი შეცნობით პირის შეცდომაში შეყვანას ცრუ მონაცემების შეტყობინების საფუძველზე; პასიური მოტყუება კი გულისხმობს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დაფარვას, რომელთა შეტყობინება დაზარალებულისათვის სავალდებულო იყო.“³³ გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით, რომელიც მხარდაჭერილია ლიტერატურაში, უმოქმედობას ახორციელებს ის, ვისაც აქვს რაიმეს განცხადების მოვალეობა, მაგრამ არ ეწინააღმდეგება შეცდომის წარმოქმნას ან არაფერს აკეთებს მისი აცილებისთვის.³⁴ მაგალითისთვის მოვიყვანოთ გარემოება, როდესაც პიროვნება იღებს სოციალურ დახმარებას ბავშვისთვის, რომელიც გარდაიცვალა. იგი ამ ქმედებით ფარავს მისი გარდაცვალების ფაქტს, რათა სახელმწიფოსგან არაკანონიერად მიიღოს დახმარება. რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში ჩვენ გვეჩნება თაღლითობა, მაგრამ ჩადენილი არა

³³ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 499.

³⁴ იხ.; *Жалинский А. Э.*, Современное немецкое уголовное право, М., 2004; 458

აქტიური ქმედებით, არამდედ-პასიური, ცნობების დამალვით რომლის შეტყობინება დამნაშავეს ევალებოდა.

სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც უმოქმედობა არ ატარებს შემთხვევით ხასიათს და დამნაშავეს შეცნობილი აქვს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობა. მაგალითად, თაღლითობად დაკვალიფიცირდება ასევე შემთხვევა, როდესაც პიროვნება არ აცხადებს, რომ ორჯერ მიიღო ერთჯერადი დახმარება სახელმწიფოს მხრიდან როდესაც მას ამის მიღების კანონიერი უფლება მხოლოდ ერთხელ ჰქონდა, იგი სარგებლობს სახელმწიფოს წარმომადგენლის შეცდომით და ეუფლება არამართლობიერად ნივთს (ფულს) და ეს ხდება უმოქმედობით. ხერხი ანუ მოტყუება არის განხორციელებული სწორედ რეალური ცნობის დამალვით, რასაც შედეგად სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენება მოჰყვა.³⁵

როგორც ვხედავთ, თაღლითობის განხორციელება სრულებით შესაძლებელია უმოქმედობით, უმოქმედობა აქ სწორედ მოტყუების ერთ-ერთი სახეა.

როგორც აქტიური, ასევე პასიური მოტყუების დროს, ტყუილი, წინ უნდა უსწრებდეს პიროვნების მიერ ქმედების განხორციელებას. თუ სახეზე გვაქვს პასიური მოტყუება უშუალოდ ნივთის დაუფლების შემდგომ, დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი შემთხვევა: „შემნახველ ბანკში კანონიერად მიღებული თანხის დათვლისას მოქალაქემ აღმოაჩინა, რომ მისთვის ბანკის მოლარეს გადაუცია ორჯერ მეტი თანხა, მაგრამ ეს ფაქტი დამალა და არ დაუბრუნა უკან მისთვის ზედმეტად გადაცემული თანხა. ვინაიდან მოქმედი კანონდებლობა სართოდ არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შემთხვევით ხელში მოხვედრილი ნივთების დაუფლებისათვის, აღნიშნული შემთხვევები კრიმინალიზაციის გარეშე რჩება“³⁶. მთავარი ამ შემთხვევაში არის სწორედ „დამნაშავის“ მხრიდან ცოდნის ელემენტი. თუ მან ქმედების ჩადენამდე იცოდა მოსალოდნელი ქონებრივი სარგებლის მიღების შესახებ, იგი დაისჯება როგორც თაღლითობის ამსრულებელი და თუ ეს ცოდნა მას არ გააჩნდა, გამორიცხულია მისი სისხლის სამართლის წესით დასჯა.

³⁵ იხ. ვრცლად *წულაია ზ.*, ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი., ინტელექტი თბ., 2001 გვ. 79

³⁶ იხ.; *გამყრელიძე ო., ტურავა მ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გამომცემლობა „მერიდიანი,“ თბ., 2004 გვ 130

1.7. სამეწარმეო რისკი და სოციალურად ადეკვატური რისკი

როგორც ტეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით საკმაოდ დიდი მწიფეობა აქვს თაღლითობის გამიჯვნის პრობლემას მისი მსგავსი სამოქალაქოსამართლებრივი დელიქტებისგან. თაღლითობის დანაშაულის შემადგენლობა კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა ისე იყოს მოცემული, რომ რეალურად არ გვაძლევდეს სისხლისსამართლებრივ უმართლობას. შესაბამისად, აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს სამოქალაქო დელიქტი სისხლისსამართლებრივი დანაშაულისაგან.

სამეწარმეო რისკის გაწევის საკითხს. იმას, თუ როდის უნდა შეფასდეს ეს რისკი ადეკვატურად და როდის თაღლითობის ჩადენისას მოტყუების ერთ-ერთ საშუალებად მაგალითისთვის მოვიყვანოთ შემთხვევა, თუ პირი საბანკო კრედიტის აღებისას მეტ-ნაკლებად დარწმუნებულია, რომ ვალდებულებას შეასრულებს, სესხის გადაუხდელობა სამეწარმეო პრობლემების წარმოშობის გამო, თაღლითობად ვერ დაკვალიფიცირდება. მაგრამ ამას უამრავი ფაქტორი ახლავს თან: როდესაც სესხს ამღები პირი იმ მომენტში, აცნობიერებდა რომ ვერ გაუძღვებოდა საკუთარ ბიზნესს, ამის დადასტურების შემთხვევაში სახეზე სამეწარმეო რისკი ვერ გვექნება.

პირის ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება თაღლითობად, თუ მან ბიზნესის გასაფართოებლად აიღო სესხი, რა დროსაც ის იმყოფებოდა რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში და ამის შესახებ იცოდა სესხის გამცემმა. სესხის აღების შემდგომ გაგრძელდა ფინანსური კრიზისი და იგი გაკოტრდა. მაგრამ თუ კი გამოძიებით დადგინდა, რომ პირს არანაირი გარემო ფაქტორი არ აძლევდა ბიზნესის წარმატებულად წარმოების ვარაუდის საფუძველს, ეს გარემოება მიაწინებს პირის თავდაპირველ ბოროტ განზრახვაზე, რაც შემდეგ თაღლითური დანაშაულის სახით გამოვლინდა. ამ შემთხვევაში თაღლითობად კვალიფიკაცია არ იქნება პრობლემატური.

უნდა გაირკვეს ის საკითხი, რა მატერიალური მდგომარეობა გააჩნდა მსესხებელს სესხის აღებამდე და სესხის აღების შემდეგ. ხომ არ არის ეს გამომრიცხავი გარემოება მისი სამეწარმეო რისკის. ამის გათვალისწინებით, სახეზეა მოჩვენებითი სოციალურად ადეკვატური რისკი (ჰქონდა მას სხვა სესხი ან ვალდებულება, რომელიც დაფარა სესხის აღების შემდგომ, ხომ არ შეიძინა რაიმე უძრავი ან მოძრავი ქონება და ა.შ.) ყველა კონკრეტულ შემთხვევას სჭირდება სწორედ თავისი კერძო დახასიათება, სანამ პირდაპირ გადავალთ მტკიცებაზე, რომ აქ ჩადენილია თაღლითობა, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ის მიზანი, რაც რეალურად ამოძრავებდა ექვიტანტილ პირს.

თუ მისი მიზანი არ იყო ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება და მის მიზანს წარმოადგენდა ვალის დაბრუნება და ვალდებულების შესრულება, ეს შემთხვევა ვერ დაკვალიფიცირდება თაღლითობად.

ასევე, შესაძლოა ბიზნესის გაძლოლის სურვილი ამოძრავებდეს მხოლოდ პირს და შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება საერთოდ არ გააჩნდეს. ეს კონკრეტულად უნდა შეფასდეს ინდივიდუალური ფაქტებიდან გამომდინარე, მაგრამ შესაძლებელია სწორედ ამ მიზეზით მისი თაღლითობად კვალიფიკაცია. მაგალითად, ექიმი, რომელსაც მთელი ცხოვრება გატარებული აქვს სამედიცინო სფეროში და ცოდნა მხოლოდ ამ სფეროში აქვს, სესხის სახით აიღებს დიდი ოდენობით თანხას, რათა აწარმოოს თაფლი, საკუთარი სახსრებით შექმნას საწარმო, მას არ ეყოფა არც ცოდნა და არც გამოცდილება ამისთვის და ორი თვის განმავლობაში ფაქტიურად გალანგავს აღნიშნულ თანხას. ჩანს, რომ ქმედების განხორციელებამდე მას არ გააჩნდა არანაირი წინაპირობა, ბიზნესის წარმოებისთვის. ეს ბიზნესი თავიდანვე კრახითვის იყო განწირული. ამ შემთხვევაში პიროვნების სუბიექტურ ასპექტსაც აქვს მნიშვნელობა. ამიტომ, ეს შემთხვევა თაღლითობის კვალიფიკაციას მოითხოვს მისი შემადგენლობიდან გამომდინარე.

სამოქალაქოსამართლებრივი ვალდებულების დარღვევისა და სისხლისსამართლებრივი დანაშაულის იდენტიფიცირებისას ვერ ვიხელმძღვანელებთ ზიანის ოდენობით. ასეთ დროს მნიშვნელოვანია ისევ და ისევ პირის განზრახვა, მიზანი, ქმედების ხასიათი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი დამოკიდებულება და არა ზიანის ოდენობა.

ასევე საინტერესო საკითხია შემდეგი: თუ მოვალე კრედიტორს უარს ეუბნება ქონების დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ მას ქონება არ მიუღია, ეს ფაქტი მტკიცების საგანია და მის საფუძველზე პირს შესაძლოა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ხოლო, თუ მოვალე არ უარყოფს ქონების მიღების ფაქტს, მაგრამ იმ მომენტში ნაკისრ ვალდებულებას ვერ ასრულებს ობიექტური გარემოებების გამო, რომელიც მხოლოდ გარიგების დადების შემდეგ წარმოიშვა, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება თაღლითობად.

ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ პირს უნდა ამოძრავებდეს სურვილი დაზარალებული შეცდომაში შეიყვანოს და დააჯეროს იმ ცნობების შესახებ, რომელსაც მიაწვდის. გასათვალისწინებელია ასევე, რამდენად რეალური და შესაძლებელი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება. ამის დასადგენად, უნდა იქნეს შესწავლილი ხელშეკრულების დასადგენად

არსებული გადამწყვეტი გარემოებები, როგორებიცაა მხარის მატერიალური მდგომარეობა, საქმიანობის სფერო, ჰქონდა თუ არა მას წარსულში მსგავსი ვალდებულება და რამდენად შეასრულა იგი და ა.შ. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით, თაღლითობად ისეთი შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს, რომლის დროსაც პირს ერთდროულად რამდენიმე დაზარალებულის ქონება აქვს დატვირთული იპოთეკით და ეს ქონებები იყიდება იმის გამო, რომ იგი ვალს ვერ აბრუნებს. პარალელურად, უნდა სრულდებოდეს პირობა, რომლის მიხედვითაც, პირი არ უნდა აწვდიდეს ქონების შესახებ რეალურ ინფორმაციას კონტრაქტს. კონკრეტული შემთხვევისას აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ჰქონდა პირს წინასწარ გათვალისწინებული სოციალურად ადეკვატური რისკის გარემოება, რომ იგი ვერ შეძლებდა ვალის დაბრუნებას და იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდებოდა. ამის განსაზღვრისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირის მატერიალურ მდგომარეობას.

ზემოთ განხილული პრობლემებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებები, დადგინდეს ქმედების განმახორციელებელ პირსა და დაზარალებულს შორის ურთიერთობის სახე, ნდობის საკითხი, გამოყენებული ხერხები, მიზანი და განზრახვა. საქმის ნებისმიერ დეტალს მნიშვნელობა აქვს ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის და, შესაბამისად, ბრალდებულის მდგომარეობის განსასაზღვრად, რათა არ მოხდეს უფრო მძიმე დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემა, როცა სახეზეა შედარებით მსუბუქი დანაშაული.

თავი II. თაღლითობა და დანაშაულის გამოვლინების ფორმები

2.1 თაღლითობის მომზადება და მცდელობა

2.1.1 თაღლითობის მომზადება

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულის მომზადება ისჯება სსკ-ის მე-18 მუხლით იმ მუხლზე მითითებით, რომელიც ბრალად ედება პირს. სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლიდან ნათლად იკვეთება, რომ ისჯება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის, ასევე ზოგიერთი სპეციალურად მე-18 მუხლში მოხსენიებული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა მომზადება, რადგან ჩვენს მიერ განსახილველი თემა, კერძოდ, თაღლითობა მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, არაა პრობლემატური მისი მომზადების სტადიაზე დასჯადობა.

თაღლითობა, როგორც ვიცით, პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. მისი მომზადებაც პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი. საზღვარგარეთის სასამართლოებში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ცნობილია სხვადასხვა შემთხვევები, როდესაც თაღლითობა მომზადების სტადიად კვალიფიცირდება. მაგალითად, სადაზღვეო კომპანიისთვის ავარიის ინსცენიერება და მისგან ფულის მიღების სავარაუდო საშუალება, უძრავი ქონების შეფასების გაყალბება, საავადმყოფოებში ძვირადღირებული მკურნალობის ხარჯის დოკუმენტაციის წარდგენა, როდესაც იაფასიანი მკურნალობაა ჩატარებული და ა.შ.³⁷

თაღლითობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაეუფლება თაღლითობის საგანს. იმ შემთხვევაში თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ დაეუფლა ქონებას ან ნივთს სახეზე გვექნება დანაშაულის მცდელობა ან მომზადება.

თაღლითობის მცდელობად დაკვალიფიცირდება ასევე შემთხვევა, როდესაც პირი გადაწყვეტს მოტყუების გზით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამისათვის იგი პირველ რიგში დაარეგისტრირებს ტურისტულ კომპანიას, გაუწევს რეკლამას, მოიზიდავს კლიენტებს, გააფორმებს მათთან ხელშეკრულებებს, რათა მოტყუებით მიიღოს მათგან თანხა, მაგრამ ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს. სწორედ ამ შემთხვევაში არის დანაშაულის მომზადება, ხოლო მცდელობის სტადია იქნებოდა მაშინ, თუ ის უკვე ფულადი სახით მიიღებდა შემოსავალს, და დამთავრებული დანაშაული როდესაც მას ექნებოდა განკარგვის შესაძლებლობა.

³⁷ იხ. ვრცლად ; Выявление мошенничества на рынке финансовых услуг ; <http://sas.com/offices/eupore/russia/>

ხშირად მომზადების სტადია, როგორც უკვე აღინიშნა ვერ ისჯება, რადგან პროცესუალურად ძალიან რთულია დანაშაულის მომზადების მტკიცება, მით უმეტეს, თუ ეს დანაშაული თაღლითობაა. არის შემთხვევები, როდესაც უმოქმედობით ხდება დანაშაულის მომზადება. მაგალითისთვის ავიღოთ პირი, რომელსაც ევალება წარუდგინოს მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია სავარაუდო დაზარალებულს, მაგრამ მაღავეს ამ ინფორმაციას, ანუ ამზადებს დანაშაულს უმოქმედობით.

ქართულ სისხლის სამართალში მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით არის საკამათო მოსაზრებები, რთ-ერთი მოსაზრება ეკუთვნის ქეთევან მჭედლიშვილს. იგი მიიჩნევს, რომ მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს ყველა ის შემთხვევა, როდესაც, ამსრულებელმა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება ამოწურა და მხოლოდ ტექნიკური საშუალების ამოქმედებასა საჭირო შედეგის დადგომისათვის, რაც მასზე უკვე აღარ არის დამოკიდებული. ხოლო მცდელობა გვექნება უშუალოდ ამ ქმედების განხორციელების დაწყებამდე.³⁸

2.1.2 თაღლითობის მცდელობა

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განმარტება³⁹ გააკეთა N2კ-1106აპ.-10⁴⁰ განჩინების მიხედვით. პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების შესაბამისად, ქურდობის ფაქტზე დააკავეს „ა“ და „ბ“ პიროვნებები. აღნიშნულ საქმეზე ასევე იმხილებოდა მათი თანამზრახველი ი.ი-ს მამამ შვილის რჩევით, ხსენებულ ბრალდებულებს ადვოკატად აუყვანა ქ.ვ-ე. რომელმაც ბრალდებულების ოჯახის წევრებს მოელაპარაკა, გადაეხადათ მისთვის 10000 აშშ დოლარი და საქმეს „მოუგვარებდა“ იმდაგვარად, რომ ხსენებულ ბრალდებულებს მხოლოდ 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდებოდათ. ი-ს მამამ ამ ყოველივეს შესახებ შეატყობინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და ითანამშრომლა საგამომიებო ორგანოებთან. მოსამართლის ბრძანებით ჩატარდა ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ადვოკატი ქ.ვ-ე მივიდა დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც

³⁸ *მჭედლიშვილი-ჭედრიბი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011 გვ. 43

³⁹ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba23.pdf> (მოპოვების თარიღი: 1.06.2019)

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2011 წლის 19 აპრილის განაჩენი, საქმე N2კ-1106აპ.-10

დაზარალებულმა ადვოკატს გადასცა მოთხოვნილი თანხის ნაწილი, ხოლო ნაწილის გადაცემას მეორე დილისთვის დაჰპირდა.

საკასაციო სასამართლოს არასწორად მიაჩნია ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ ადვოკატის ქმედების განხორციელება, იქიდან გამომდინარე, რომ ქ.ვ-თვის გადაცემული თანხა დაზარალებულმა მიიღო სამართალდამცავი ორგანოებისაგან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩასატარებლად, რის შედეგადაც ქ.ვ-ე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავეს. პალატამ განმარტა, რომ კანონის თანახმად, თაღლითობა წარმოადგენს შედეგიან დელიქტს, რომელიც დამთავრებულად ითვლება მხოლოდ დამნაშავის მიერ გამიზნული მართლსაწინააღმდეგო შედეგის რეალურად დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიხატება დაზარალებულის კუთვნილი ამა თუ იმ ნივთის დაუფლებაში, რითაც ზიანი ადგება დაზარალებულს. მოცემულ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, მთლიანად გამოირიცხა ქ.ვ-ის ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების ანუ მართლსაწინააღმდეგ შედეგის დადომის შესაძლებლობა, ვინაიდან დანაშაულის ობიექტის - დაზარალებულის საკუთრების უფლების ხელყოფა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ შესაბამისი დანაშაულის საგნის - მისი კუთვნილი თანხის დაუფლების გზით, რისი შესაძლებლობაც კონკრეტულ სიტუაციაში გამორიცხული იყო, იქიდან გამომდინარე, რომ დაზარალებულს თავისი კუთვნილი თანხა არ გადაუცია ქ.ვ-თვის. თანხა წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საკუთრებას, რომლის გადაცემის პროცესს მთლიანად აკონტროლებდა აღნიშნული ინსპექციის თანამშრომლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესმა პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილია არა დამთავრებული თაღლითობა, არამედ - თაღლითობის მცდელობა.

ასევე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კიდევ ერთ საქმეში⁴¹ შეცვალა კვალიფიკაცია. ფაქტობრივი გარემოებები ზემოთ განხილული საქმის მსგავსია და მოვლენებში ასევე ჩართულნი არიან საგამომიებო ორგანოები. სასამართლოს განმარტებით, მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, მთლიანად გამოირიცხა კ.ს-ის ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა, ვინაიდან დანაშაულის ობიექტის ხელყოფა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ შესაბამისი დანაშაულის საგნის დაუფლების გზით, რაც გამორიცხებოდა იმით, რომ დაზარალებულმა ე.თ-მ კ.ს-ს გადასცა შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი თანხა და არა თავისი კუთვნილი

⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N2კ-2108აპ.-07

თანხა. მეორეც, იმ პირობებში, როცა ხორციელდებოდა წინასწარ დადგეგმილი, დანაშაულის ფაქტზე დაკავების ოპერაცია, ე.თ-ს მისთვის კუთვნილი თანხაც რომ გადაეცა, კ.ს მაინც ვერ შეძლებდა ამ თანხის დაუფლებას თავისუფალი განკარგვის აზრით, რაც გამორიცხავს დამთავრებული დანაშაულის არსებობას.

შესაბამისად, აღნიშნული სასამართლო პრაქტიკით იკვეთება, რომ თაღლითობის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია დამნაშავეს ჰქონდეს შესაძლებლობა ,თავისუფლად ფლობდეს და განკარგოს ნივთი ან ქონებრივი უფლება ნივთზე,სწორედ ეს განასხვავებს მცდელობას დამთავრებული დანაშაულისაგან როდესაც ხდება დანაშაულის აღკვეთა, შეუძლებელია იგი დავაკვალიფიციროთ დამთავრებულად, რადგან დამნაშავე მოკლებულია მისი თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობას.

2.2 თანაამსრულებლობა და თანამონაწილეობა თაღლითობაში

2.2.1 თანაამსრულებლობა თაღლითობაში

სსკ-ის 24-ე მუხლის მიხედვით, „ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან ერთად (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში...“ თანაამსრულებლის ცნება მოიაზრებს უშუალობას, იგი უშუალოდ ჩადენილი იყოს ქმედების შემადგელობის განხორციელებით. მნიშვნელოვანია თაღლითობის დროს თანაამსრულებლის როლი და ორგანიზებული ჯგუფის მიერ მისი ჩადენის კერძო შემთხვევები, სადაც თანაამსრულებლობა პრობლემატური საკითხია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ჯგუფური თაღლითობის ფაქტზე⁴², სადაც საქმე მდგომარეობდა შემდეგში რ. კ-ემ და შ. ს-ამ განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდნენ საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილ თანხებს და ამ მიზნით ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში დაარეგისტრირეს არასამეწარმეო იურიდიული პირი – „ადამიანის უფლებათა დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის არასამთავრობო დემოკრატიული კავშირი“, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა რ. კ-ე, ხოლო მოადგილედ – შ. ს-ა. დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად რ. კ-ესა და შ. ს-ას უნდა მოეზიდათ

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე №236აპ-12 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sixli-2012-7-12-uni.pdf> (მოპოვების თარიღი: 1.06.2019)

მოქალაქეები, რომლებსაც დაარწმუნებდნენ, რომ მათ ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „პრეზიდენტ კენედის ფონდიდან“ გამოეყოფოდათ სოციალური გრანტი და საწევროს სახით დაწესებული ყოველთვიური 3 ლარის გადახდის სანაცვლოდ თითოეული გაწევრებული მოქალაქე ყოველთვიურად მიიღებდა 30 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, ხოლო უმუშევარი მოქალაქე – ასევე ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით დახმარებას 1 წლის განმავლობაში.

გეგმის განსახორციელებლად რ. კ-ე და შ. ს-ია დაუკავშირდნენ საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბ-ს“ თავმჯდომარე ე.კ-ს, რომელთანაც 2010 წლის 27 ოქტომბერს ფორმალურად გააფორმეს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რეალურად კი ე. კ-ს უნდა უზრუნველყო მოქალაქეთა მოზიდვა, მათი გაწევრება კავშირში და საწევროს სახით გადახდილი თანხის შეგროვება, რასაც შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გაინაწილებდნენ.

მთლიანობაში – 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის 16 თებერვლამდე რ. კ-მ და შ. ს-მ მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილი 36 060 ლარი.

როგორც საქმის მასალებიდან დგინდება, თაღლითობა განხორციელდა ჯგუფურად, კერძოდ, ორი პიროვნება რ.კ და შ.ს შეკავშირდა რა ერთობლივად თაღლითობის ჩასადენად, დაუკავშირდნენ მესამე პირს და გადაინაწილეს პოზიციები დანაშაულის ჩასადენად, ზოგ მათგანს ევალებოდა კლიენტების მოზიდვა ზოგს კი უბრალოდ თანხის აღება აღნიშნული თაღლითობის შემდგომ მიღებული საქმიდან.

მათ განახორციელეს წარმატებით დასახული მიზანი და ჩაიდინეს თაღლითობა ჯგუფურად, ამ შემთხვევაში პრობლემატური შემთხვევა არ გვაქვს, მიზანი იყო ამ შემთხვევაში ერთი, მოქალაქეთა კუთვნილი თანხის მისაკუთრება, ხოლო ხერხი მოტყუება. მაგრამ პრაქტიკაში გვაქვს ხოლმე შემთხვევები, როდესაც მიზანი თავიდანვე დასახულია, მაგრამ შემდგომ ხდება ამ მიზნიდან გადახვევა მაგალითად. ა. და ბ. შეკავშირდნენ თაღლითური გზით მატერიალური სარგებლის მისაღებად, თავიდან მიზანი იყო 5000 ლარის მიღება, მოვლენათა განვითარების შემდეგ ბ-მ გადაწყვიტა უფრო მეტი თანხის შოვნა თაღლითური გზით მაგრამ ა-მ ამის შესახებ არ იცოდა, ხოლო როდესაც გაიგო ამის შესახებ უარი თქვა ამ თაღლითური სქემის განხორციელებაზე და დასჯერდა მიღებულ სარგებელს. როგორ დაისჯება აბ, იგი არის თაღლითობის თანაამსრულებელი მნიშვნელოვანი ზიანისთვის თუ განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით თაღლითობის თანაამსრულებელი

ამ შემთხვევაშიც რა თქმა უნდაც ყურადღება უნდა მივაქციოთ ქმედების სუბიექტურ ნიშანს, რადგან ა-ს მიზანი იყო 5000 ლარიდან წილი, კერძოდ, 2500 ლარის ოდენობით სარგებლის მიღება მას ბრალად ვერ შეერაცხება განსაკუთრებულად დიდი ოდენობით თაღლითობა, რომელიც ჩადენილია ჯგუფურად, ამიტომ თანაამსრულებლობის დროს მთავარია სუბიექტურად რა მიზანი ამოძრავებს დამნაშავეს, უშუალოდ რა ქმედებას განახორციელებს ამისთვის.

თანაამსრულებლობის დროს მთავარი მახასიათებელი ნიშანი სახეზე უნდა იყოს ის თუ რა როლი მიუძღვის დამნაშავეს უშუალოდ დანაშაულში მონაწილეობისას, ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნების სუბიექტურ დამოკიდებულებას, მისი დანაშაულში ჩართულობის ხასისხს და ბუნებას, რათა თავიდან ავირიდოთ ჯგუფურად თუ ორგანიზებული დანაშაულის ჩადენის დროს ყველა მონაწილის თანაბრად დასჯის საშიშროება.

ასე რომ, თანაამსრულებლობისას სავალდებულო არ არის ყველა თანაამსრულებელმა უშუალოდ მოატყუოს დაზარალებული. შესაძლებელია ერთ-ერთი თანაამსრულებელი, მაგალითად, მოძრავ ნივთს დაეუფლოს, მას შემდეგ, რაც მისმა თანამზრახველმა მოტყუება განახორციელა.

2.2.2 თანამონაწილეობა თაღლითობაში

საქართველოს სსკ-ის 23-ე მუხლი განსაზღვრავს თანამონაწილის შინაარსს „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.“ რაც შეეხება თანამონაწილეთა სახეებს, სსკ-ის 23 მუხლში ჩამოთვლილია და განმარტებულია ის სახეები, რომლებიც არსებობს დანაშაულის ერთობლივად ჩადენის შემთხვევაში, ესენია: ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე. მაგალითად, გ-მ შექმნა ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც დაავალა თაღლითური დაუფლებით მიესაკუთრებინა ფულადი სახის სარგებლი. ამისათვის მან ჯგუფის წევრებს დაუსახა ზუსტი გეგმა, თუ რა სახით, როგორი თანმიმდევრობით უნდა განხორციელებიათ აღნიშნული ქმედების ობიექტური შემადგენლობა მდგომარეობდა იმაში, რომ ყველა ჯგუფის წევრს ევალეობდა დაემზადებინა ყალბი საბუთები, პირადობის მოწმობები და ამ ყალბი საბუთების დამზადების შემდგომ იპოთეკით დაეტვირთათ სხვადასხვა ქონება, რომელიც მათი საკუთრება არ იყო. მან მიაწოდა ინფორმაცია იმ ბინების შესახებ, რომელთა იპოთეკის დატვირთვასაც უპრობლემოდ შეძლებდნენ. დანაშაულის ამსრულებელმა ოთხმა წევრმა წარმატებით შეასრულა დავალება და ამისათვის მათ მიიღეს თავისი წილი ფულადი

სარგებლის სახით. შემდგომ მოხდა ყველა წევრის დაკავება და მათ აღიარეს ბრალად შერაცხული ქმედება. როგორ დავსჯით გ-ს? ის ხომ უშუალოდ არ ასრულებდა ქმედების შემადგენლობას და ვერ იქნება ქმედების ამსრულებელი ან თანამსრულებელი. ამ შემთხვევაში გვჭირდება ორგანიზატორის, როგორც ამ დანაშაულის სულის ჩამდგმელის, ცნება. იგი დაისჯება სწორედ ამ დანაშაულის ორგანიზებისთვის, ანუ ბრალი წარედგინება, როგორც სსკ-180 მულის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ასევე სსკ-23 მუხლის 1-ლი ნაწილით.

იგივე შემთხვევასთან გვექნება საქმე, როდესაც ხდება დანაშაულის წაქეზება და დანაშაულის ჩადენაში დახმარება. განმარტებანი, თუ ვინ არის ესა თუ ის პირი, მოცემულია სსკ-ის 23-ე მუხლში. შესაბამისად, ამაზე აღარ შევჩერდებით, რადგან განსახილველი თემისთვის, აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემატურ საკითხს.

თავი III. დანაშაულთა ერთობლიობა და ნორმათა კონკურენცია თაღლითობისას

3.1 თაღლითობა და კრედიტის უკანონო მიღება

პირველი განსახილველი საკითხი არის თაღლითობისა და კრედიტის უკანონოდ მიღების (სსკ-ის 208-ე მუხლი) გამიჯვნა. სსკ-ის 208-ე მუხლი ფულად-საკრედიტო სისტემის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია ასახული. პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მისი განსხვავება თაღლითობისაგან, რადგან არსებობს მრავალი საერთო ნიშანი. სისხლის სამართლის დაცვის ობიექტი თაღლითობის დროს გახლავთ ზოგადად საკუთრების უფლება, რაც შეეხება კრედიტის უკანონოდ მიღებას, აქ სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე არის საქართველოს ფულად საკრედიტო სისტემა.

მეორე განმასხვავებელი ნიშანია მოტყუება. იგი არის თაღლითობის ჩადენის ერთადერთი და აუცილებელი ხერხი, ხოლო კრედიტის უკანონოდ მიღების დროს შესაძლოა პირმა არ გამოიყენოს ტყუილი, როგორც ერთადერთი საშუალება. შესაძლოა პირმა აღებული კრედიტი არამიზნობრივად გახარჯოს და ამით ჩაიდინოს დანაშაული. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ხერხი ყოველთვის ტყუილი არ შეიძლება იყოს სსკ-ის 208-ე მუხლით გათვალისწინებული უმართლობის ჩადენის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ თაღლითობის ჩამდენი ყოველთვის რაიმე დოკუმენტაციას არ იყენებს იმისათვის, რათა ჩაიდინოს დანაშაული. საკმარისია, მაგალითად, დაუმალოს რაიმე ინფორმაცია დაზარალებულს, ხოლო კრედიტის უკანონოდ მიღების დროს კი აუცილებელია, რომ პირმა ყალბი ცნობა მიაწოდოს ბანკს ან საკრედიტო დაწესებულებას.⁴³

„თაღლითობის დროს დამნაშავეს აუცილებლად ამოძრავებს სპეციალური მიზანი - სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისა, ანუ სხვისი ქონების შემცირების ხარჯზე გაზარდოს საკუთარი ქონება უკანონოდ და უსასყიდლოდ. რაც შეეხება კრედიტის უკანონოდ მიღებას, მისთვის სრულებით არაა აუცილებელი ამ მიზნის არსებობა. ბანკისთვის ყალბი ცნობის წარდგენისას დამნაშავეს ამოძრავებს

⁴³ იხ. ვრცლად *ლევკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ.501

სხვა სახის მიზანი - კრედიტის მიღების (რომელსაც ამ ცნობის გარეშე სავარაუდოდ ვერ მიიღებს) ან კრედიტის ოდენობის გაზრდის მიზანი“.⁴⁴

განმასხვავებელი კიდევ ერთი ნიშანი გახლავთ ის, რომ თაღლითობის დროს გამორიცხულია დამნაშავეს ჰქონდეს ნივთის ან ქონებრივი უფლების დაბრუნების მიზანი, რაც კრედიტის უკანონოდ მიღების დროს სრულიად შესაძლებელია. ანუ, მართალია, კრედიტი აიღო დამნაშავემ კანონის გვერდის ავლით, მაგრამ მაინც არ გადააბიჯა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და დააბრუნა კრედიტი. ეს ყველაფერი კი გამჟღავნდა ამ ქმედების განხორციელების შემდგომ. ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არც კი იწყება, რადგან დაზარალებული მხარე არ არსებობს.

კრედიტის უკანონოდ მიღება ფორმალური დანაშაულია⁴⁵ და ამიტომაც მისი ჩადენისთვის არაა მთავარი, დანაშაული დასრულდეს. დანაშაული დასრულებულად ჩაითვლება კრედიტორისთვის ყალბი ცნობების მიწოდების მომენტიდან, ხოლო თაღლითობა შედეგიანი დანაშაულია და დამთავრებულია მხოლოდ მაშინ, როცა დამნაშავე მოტყუების გზით დაეუფლება ნივთს ან მიიღებს ქონების განკარგვის ფაქტობრივ შესაძლებლობას⁴⁶.

მამასადამე, კრედიტის უკანონოდ მიღების და თაღლითობის განმასხვავებელი ნიშნების განხილვის შემდგომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი აღრევა ერთმანეთში შეუძლებელია, გათვალისწინებით იმისა, რომ განასხვავებთ ბევრი დეტალი. სწორედ ამ დეტალებზე დაყრდნობით, რომლებზეც ჩვენ უკვე ვმსჯელებთ, შესაძლებელი იქნება თავიდან ავირიდოთ ნორმათა ერთმანეთში არევა.

3.2 თაღლითობის გამიჯვნა მითვისებისგან

შემდეგ საკითხს წარმოადგენს თაღლითობის გამიჯვნა მითვისებისაგან (საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლი). საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის თანახმად, დასჯადია „სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში იმყოფებოდა“. მითვისება თავისი შინაარსით „გულისხმობს

⁴⁴ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ.501

⁴⁵ იხ.; იქვე გვ. 500

⁴⁶ იხ.; იქვე გვ. 502

აქტიურ მოქმედებას, რომელიც გამოიხატება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ამოღებაში მისი კანონიერი მესაკუთრისაგან და მის უკანონო დაუფლებაში როგორც თავის, ისე სხვა პირთა სასარგებლოდ⁴⁷ და დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავესთვის კანონიერად მინდობილი ქონება უკანონო მფლობელობაში გადადის.

მითვისებისა და თაღლითობის შემთხვევაში მოტივი საერთოა - ანგარება; შედეგიც ერთია - სხვისთვის მატერიალური ზიანის მიყენება, თავად კი სარგებლის მიღება. ძირითადი განსხვავება ამ ორ დანაშაულს შორის გახლავთ დანაშაულის ჩადენის ხერხში, როგორცაა თაღლითობის დროს დაზარალებულის მოტყუება, ხოლო მითვისების შემთხვევაში პირველ მდგომარეობაში არსებული კანონიერ მფლობელობაში მყოფი ქონების არამართლზომიერი მფლობელობის ობიექტად გადაქცევა. თაღლითობის ჩამდენი პირი მოტყუების გზით ცდილობს დაეუფლოს ნივთს, როდესაც მითვისებელი უკვე ფლობს ნივთს მართლზომიერად და იწყებს მოქმედებას, რათა აღნიშნული ნივთი მოექცეს მის უკანონო მფლობელობის ქვეშ, რაც ძირითადად გამოიხატება ნივთის მესაკუთრისადმი დაუბრუნებლობაში.

რაც კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია მითვისების შემთხვევაში, ეს არის სწორედ დამნაშავეს დამოკიდებულება და განზრახვა. დანაშაულის ჩადენამდე სხვისი ქონება პოტენციური დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობაშია და გარკვეული უფლებებიც გააჩნია აღნიშნულ ქონებაზე, მისი უშუალოდ მითვისების დროს კი მიზნად ისახავს რაიმე სახის შემოსავლის მიღებას, ანგარების და გამდიდრების მოტივით, ხოლო თაღლითობის შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი გარკვეული არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ანუ მოტყუებით, ან ნამდვილი ინფორმაციის დამალვით, ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს დაზარალებული და ამგვარი გზით დაეუფლოს მის ქონებას, ნივთს ან ქონებრივ უფლებას ნივთზე და მისაკუთროს იგი.

ერთ-ერთ საკამათო საკითხს წარმოადგენს თაღლითობის, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ-ის 180 მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტი) და მითვისების (სსკ-182 მე-2 ნაწილის დ ქვეპუნქტის) გამიჯვნა.⁴⁸

⁴⁷ იხ.; *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 503

⁴⁸ იხ.; *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 512

თაღლითობას და მითვისებას შორის არსებობს მსგავსებებიც, ორივე შემთხვევაში მსგავსება ის არის, რომ პიროვნება იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარობას რათა გაიმარტივოს აღნიშნული დანაშაულის ჩადენა. რაც შეეხება განსხვავებას, პირველ რიგში იგი მდგომარეობს იმაში, რომ თაღლითობის დრო თანამდებობის პირი ან კერძო სექტორში არსებული კომპანიის უფლებამოსული პირი, თავის თანამდებობას იყენებს, რომ გაიდვილოს და ჩაიდინოს დანაშაული - კერძოდ, პიროვნება იადვილებს მდგომარეობას რათა მიიღოს ის ქონება ან სარგებელი, რომელიც ჯერ არ იმყოფება ამ პიროვნების მფლობელობაში, მაგალითად, როდესაც ერთ-ერთი ბანკის ფილიალის მმართველი ბანკის სახელით ავრცელებს ინფორმაციას და ჰპირდება მოქალაქეებს, ერთი წლის ვადაში შემოტანილ ანაბარზე გაორმაგებული ოდენობით სარგებელს, მაგრამ მას თავიდანვე გადაწყვეტილი აქვს რომ აიღოს შემოუსული თანხა და მიიმალოს, ასეც ხდება მოქალაქეების მიერ შეტანილ თანხას იღებს პიროვნება და მიდის საზღვარგარეთ, ჩადენილია თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (დიდი ოდენობით).

რაც შეეხება მითვისებას, რომელიც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ამ შემთხვევაში კერძო ან საჯარო სამსახურში დასაქმებული პირი იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და არაკანონიერად ითვისებს მისთვის მინდობილ ნივთს და სამართლებრივ სიკეთეს.

ზემოთ მოცემული კაზუსის შეცვლის შემთხვევაში, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები შეცვლილია გვექნება სხვა კვალიფიკაცია. მაგალითად, ბანკის ხელმძღვანელმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ერთი წლის ვადით შემოტანილ ანაბარზე მეანაბრებს დაერიცხებოდათ სარგებელი გაორმაგებული რაოდენობით, მაგრამ ეს არ იყო თავიდან ტყუილი ეს მართლაც განიხილებოდა ბანკის დირექტორების მიერ და რეალობა იყო მისი განხორციელება, მაგრამ შემდგომ პირმა, რომელსაც უეცრად დასჭირდა ფულადი დახმარება, მითვისა მისთვის მინდობილი თანხა და გაუჩინარდა. განსხვავებით პირველი ვარიანტისგან, როცა ბანკის ხელმძღვანელმა პირმა არაკანონიერად, მოტყუების გზით შემოატანილა ანაბარი მოქალაქეებს, ამ შემთხვევაში სრულიად კანონიერად მოხდა მოქალაქეთა მხრიდან თანხების ბანკში განთავსება, ამით ბოროტად ისარგებლა ბანკის მმართველმა და მითვისა თანხა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.⁴⁹

⁴⁹ იხ. *რედ. ნონა თოდუა* სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში თბ., 2016 გვ. 401

განმასხვავებელი ნიშანი აღნიშნულ დანაშაულებს შორის არის ის, თუ მოტყუება, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხი იყო გამოყენებული აღნიშნული ქმედების განხორციელების დროს, თუ წინასწარ იყო ყველაფერი მოფიქრებული თანამდებობის პირის მიერ სახეზე, გვექნება თაღლითობა შესაბამისი მუხლის დამამძიმებელი გარემოებით, ხოლო თუ მოტყუება არ იყო ქმედების წინმსწრები ქმედება ეს იქნება თანამდებობის პირის მიერ მასზე მინდობილი ქონების მითვისება შესაბამისი კვალიფიკაციით.

მითვისებისა და თაღლითობის გამიჯვნის პრობლემა წარმოიშვა ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილებაში.⁵⁰ მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის ნაწილში გადაწყვეტილება უკანონოდ მიჩნია საკასაციო სასამართლომ, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ხელახლა განსახილველად გადასცა სასამართლოს, სააპელაციო სასამართლომ თავისი მსჯელობით შეცვალა საქალაქო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ქმედების კვალიფიკაცია. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ქმედება საქართველოს სსკ-ის 182 -ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლზე. ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მსჯავრდებული მუშაობდა ერთ-ერთ სააქციო საზოგადოებაში. მის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში შედიოდა ფილიალის კონტროლი საოპერაციო დოკუმენტებზე. შესაბამისად, ხელი მიუწვდებოდა კლიენტთა ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის შემცველ დოკუმენტებსა და ელექტრონულ პროგრამულ სისტემაზე. 2004 წლის 7 მაისს ისარგებლა დაკისრებული უფლება-მოვალეობით და შეადგინა ოთხი ყალბი მემორიალური ორდერი, კლიენტის სახელით დაწერა განცხადება ვადიანი ანაბრის ვადამდე დახურვის მოთხოვნით და ამის საფუძველზე გასცა განკარგულება, რათა ბუღალტერიას დაეხურა კლიენტის ვადიანი ანგარიში. იმავე დღეს გაიტანა სალაროდან 18 600 აშშ დოლარი. 8 მაისს კი შეადგინა სხვა კლიენტის ყალბი საგადასახადო დავალება, რომელზეც კლიენტის მაგივრად მოაწერა ხელი და თავის მიმდინარე ანგარიშზე გადაიტანა 17 000 აშშ დოლარი. იმავე დღეს კი სალაროდან გაიტანა 17 500 აშშ დოლარი ყალბი დოკუმენტის საფუძველზე. ჯამში მან ორი ოპერაციის შედეგად სააქციო საზოგადოებას მიაყენა 36 100 აშშ დოლარის მატერიალური ზიანი. მოცემულ საქმეში, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და ქმედების გადაკვალიფიცირება სწორია. საქმის გარემოებებით დგინდება, რომ მსჯავრდებულმა თავისი თანამდებობა გამოიყენა იმისათვის, რომ გაეყალბებინა და ყალბი დოკუმენტაციით მიეღო თანხა. ამ შემთხვევაში მის ხელში არ ყოფილა კლიენტის თანხაზე ფლობის უფლება, არ ჰქონია მისი განკარგვის უფლებამოსილება და არც მართლზომიერად შედგენილი კლიენტის

⁵⁰ უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, *საქმე N2კ-75აკ-07*

ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტაცია. მან თავად გააყალბა ყველა დოკუმენტი, თავად მოამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ მიეღო თანხა და საამისოდ გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, რაც მაკვალიფიცირებელ გარემოებად უნდა შეფასდეს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში პიროვნებას, რომელსაც უშუალოდ არ ჰქონდა ნივთზე თუ ქონებაზე ფლობის შესაძლებლობა, მოტყუების გზით მიეცა ამის შესაძლებლობა და სწორედ სამსახურებრივი თანამდებობა გამოიყენა ამისათვის. ჩადენილია თაღლითობა სსკ-ის 180-ე მუხლი.

3.3 თაღლითობის გამიჯვნა მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისაგან

ერთ-ერთი საკვანძო და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია თაღლითობის გამიჯვნა მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისაგან (სსკ-ის 185-ე მუხლი). ქონებრივი დაზიანება მოტყუებით გულისხმობს, „ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივ დაზიანებას მოტყუებით, თუ არ არის ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.“ როგორც ვხედავთ, აღნიშნული დისპოზიცია პირდაპირ მიანიშნებს თაღლითობაზე, როგორც აღნიშნული ქმედების შემადგენლობის ნეგატიურ ნიშანზე. კანონმდებელი პირდაპირ აპელირებს იმაზე, რომ აღნიშნული ქმედებს განხორციელების დროს არ უნდა გვქონდეს თაღლითობის შემადგენლობის ნიშნები. როგორც თაღლითობის, ასევე მოტყუებით ქონებრივი დაზიანების ნიშანი, არის მოტყუება. მაგრამ მათ განასხვავებთ მრავალი სხვა ინდივიდუალური ნიშანი. თაღლითობის დროს პირი აუცილებელია დაეუფლოს რაიმე სამართლებრივ სიკეთეს ან გაუჩნდეს სამართლებრივი უფლება რაიმე ნივთზე, ხოლო მოტყუებით ქონებრივი დაზიანების დროს სულაც არ არის აუცილებელი პირს მისაკუთრების მიზანი ამოძრავებდეს, მთავარია დამდგარი შედეგი; მესაკუთრის ქონებრივი დაზიანება. „თაღლითობის დროს მოტყუება არის სხვისი ქონებიდან ნივთის ამოღების ხერხი, ხოლო სსკ-ის 185-ე მუხლის შემთხვევაში კი იგულისხმება, რომ დამანაშავე უფლებამოსილ მხარეს არ აძლევს საშუალებას მიიღოს კუთვნილი სარგებელი, რა დროსაც მართალია არ მცირდება დაზარალებულის ქონება, მაგრამ მას ეზღუდება საშუალება მიიღოს სარგებელი და ეს სარგებელი მას სცდება, სწორედ ამიტომ არ არის ეს დანაშაული დაუფლებითი.“⁵¹

⁵¹ იხ. *ლევკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ 539

განმასხვავებელი ნიშანი აღნიშნულ დანაშაულებს შორის გამოიხატება მოტყუებაში, მოტყუება, როგორც მთავარი ხერხი და საშუალება თაღლითობის შემთხვევაში წინ უსწრებს დანაშაულის ჩადენას ყოველთვის და ამით გამოირჩევა იგი სხვა მონათესავე დელიქტებისაგან, ხოლო მოტყუებით ქონებრივი დაზიანების დროს მოტყუება, როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალება ნებისმიერ დროს შესაძლოა გამოვლინდეს. მაგ., როდესაც პიროვნება ბინის ქირას არ გადაუხდის მეკატრონეს და მიიმალება, მაშინ როდესაც მოსულია ქირის გადახდის თარიღი. ჩადენილია ქონებრივი დაზიანება მოტყუებით. არა აქვს მნიშვნელობა როდის დაებადა დანაშაულის ჩამდენს განზრახვა, დანაშაულის ჩადენამდე ანუ მის მიერ ბინის ქირავნობამდე თუ მის შემდგომ. აღნიშნული საკითხის განხილვისას მთავარი ყურადღება უნდა გამახვილდეს დამნაშავეს რეალური მიზანზე, თუ მისი მიზანი იყო დროებითი დაუფლება ნივთზე მოტყუებით ამ შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რადგან თაღლითობის დროს დროებითი მისაკუთრების მიზანი გამორიცხულია, რადგან დამნაშავეს ამოდრავებს დანაშაულის საგნის სამუდამოდ საკუთარ მფლობელობაში გადასვლის სურვილი.

აღნიშნულ დანაშაულთა შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ თაღლითობის დროს დამნაშავე მოტყუების გზით ცდილობს შეამციროს დაზარალებულის ხელთ არსებული ქონებრივი ფონდი, ხოლო მეორე შემთხვევაში დამნაშავეს მხრიდან არ მცირდება დაზარალებულის ქონება, იგი ვერ იღებს მფლობელობაში მისთვის განკუთვნილ სამართლებრივ სიკეთეს.

თაღლითობისა და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების გამიჯვნის შესახებ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება.⁵² უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია სწორად, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: ექვიტანილებმა - შ.ყ.-შვილმა და მ.ბ.-ქემ გამოძახებით დაიქირავეს ტაქსი, რომლითაც იმგზავრეს ზესტაფონის რაიონში, სადაც ტაქსის მძღოლისთვის უნდა გადაეხადათ მგზავრობის ფასი - 55 ლარი, უთხრეს, რომ თანხა არ ჰქონდათ და სანაცვლოდ დაუტოვეს დ. ყ-შვილის პლასტიკური ბარათი მისი ზუსტი პერსონალური მონაცემებით, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ ტაქსის მძღოლს შეხვდა მ.ბ.-ქე და მისცა მგზავრობის ღირებულების ნაწილი. აღნიშნული ქმედება სააპელაციო სასამართლომ დააკვალიფიცრა როგორც თაღლითობა, ვინაიდან

⁵² <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba1.pdf> (მოპოვების თარიღი 7.06.2019)

თაღლითობის შემადგენლობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ დამნაშავეებმა სწორედ მოტყუების გზით სცადეს და დაეუფლებინ სხვის კუთვნილ ნივთს, რომელსაც მოტყუებული პირი თავისი ნებით გადასცემს ან თავისი ნებით თმობს უფლებას მასზე დამნაშავის სასარგებლოდ. მოცემულ შემთხვევაში კი არც მ.ბ-მე და არც მისი მეგობარი არ დაუფლებია დაზარალებულის კუთვნილ ფულს ან რაიმე სხვა ნივთს. მათ დაზარალებულს არ გადაუხადეს ტაქსით მგზავრობის ღირებულება, ანუ ის თანხა, რომელიც ტაქსის მძღოლს მათგან უნდა მიეღო, მაგრამ ვერ მიიღო. ეს შემთხვევა არის საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული გადაკვალიფიცირება დაასაბუთა იმით, რომ მოცემულ შემთხვევაში ქონების ანუ ავტომანქანის მესაკუთრემ განიცადა ქონებრივი ზიანი იმ მხრივ, რომ მისი კუთვნილი ტაქსით ისარგებლეს მსჯავრდებულებმა, მგზავრობის ღირებულება კი არ გადაუხადეს, ხოლო მოტყუება დასტურდება შემდეგი გარემოებით: როდესაც ტაქსი გამოიძახეს, მსჯავრდებულებმა წინასწარვე იცოდნენ, რომ მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებელი თანხა არ ჰქონდათ და ამის შესახებ ტაქსის მესაკუთრე არ გააფრთხილეს. ამ შემთხვევაშიც, როგორც პრობლემის თეორიულად გამიჯვნის დროს აღვნიშნეთ, სასამართლომაც იმსჯელა ზიანის გამოწვევის მექანიზმზე დაყრდნობით და არა ზოგადად მოტყუების არსებობით. აღნიშნული საქმის განხილვის შედეგად შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ სასამართლომ სწორად გაუსვა ხასი იმას რომ მთავარი მიზეზი გადაკვალიფიცირების სწორედ მდგომარეობდა დანაშაულის არსში ტაქსის მძღოლს მიადგა არა მატრეიალური ზიანი რომელსაც უკვე ფლობდა იმ ქონებიდან, არამედ იქედან რომელიც უნდა მიეღო . ამიტომაც დაკვალიფიცირდა დანაშაული სსკ-ის 185-ე მუხლით. უზენაესი სასამართლო კიდევ ერთ საქმეში განმარტავს, რომ „საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე მესაკუთრის ან მფლობელის ნდობას იყენებს ბოროტად, ატყუებს და ამით აზიანებს მას ქონებრივად. ეს დანაშაული ჰგავს თაღლითობას, მაგრამ მექანიზმით, ქონებრივი გამორჩენის მიღების მეთოდითა და ხასიათით მკვეთრად განსხვავდება მისგან. თუ თაღლითობისა და დაუფლების ნებისმიერი ფორმის განხორციელების დროს დამნაშავე პირდაპირ იღებს მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელისაგან ქონების უშუალოდ ნაწლს, აქ მდგომარეობას სხვაგვარად არის, კერძოდ, შრომითი ხელშეკრულების

დადების შემდეგ უჩნდება დამნაშავეს სურვილი, ქონების მეპატრონეს დააკლოს კუთვნილი თანხა.⁵³

3.4 თაღლითობის გამიჯვნა ქურდობისაგან

განსახილველი თემის ირგვლივ ასევე საყურადღებოა თაღლითობის ქურდობისაგან გამიჯვნა. სსკ-ის 177-ე მუხლის მიხედვით, „ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.“ მათშორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანზე მათ შორის არის ჩადენის ხერხი. ქურდობის ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანი ფარულობაა. შესაძლებელია, ასევე მოტყუების ელემენტები გამოყენებული იყოს ნივთის ფარულად დაუფლებისთვის, დანაშაულის ჩადენის გასამარტივებლად, მაგრამ ამ შემთხვევაში ისევ ქურდობის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს აღნიშნულ ქმედებას. მაგალითად, მეგობარი ა. საკრედიტო ბარათს მისცემს და გაანდობს ბარათის პერსონალურ მონაცემებს მის მეგობარ ბ-ს და სთხოვს, რომ უახლოესი ბანკომატიდან თანხა 100 ლარის ოდენობით მოუტანოს, მაგრამ ბ. იღებს მის პლასტიკურ ბარათს და მიიმალება ადგილიდან 1500 ლართან ერთად.⁵⁴ სახეზეა ქურდობა თუ თაღლითობა? ამის გასარკვევად მივყვით თანმიმდევრობით ბ-მ ისარგებლა რა ა-ს ყურადღების მოდუნებით მისთვის განდობილი ინფორმაცია გამოიყენა დანაშაულის ჩასადენად და მოხსნა ფული აპარატიდან და მიიმალა, ამ შემთხვევაში ფარულობა, იქნება როგორც დანაშაულის ჩადენის უშუალო ხერხი, და დაკვალიფიცირდება ქურდობად. ამ შემთხვევაში ა-მ დროებით ერთხელ გამოყენების მიზნით გადასცა და გაანდო თავის მეგობარს ბარათის შესახებ ინფორმაცია და არა დიდი ხნით სარგებლობისთვის, და მიზანი არ ყოფილა მისთვის მინდობა მისი ფულადი ფონდის არამედ დახმარება. ამიტომ აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდება ქურდობად.

„თაღლითობის დროს მოტყუება არ არის დამნაშავეისთვის ნივთის გადაცემის საფუძველი, ე.ი დაზარალებული, რომელიც შეაცდინა თაღლითმა, ნებაყოფლობით გადასცემს მას ნივთს ან ქონებრივი სიკეთის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო როდესაც მოტყუება არის სხვისი ქონების არა ნებაყოფლობითი მიღების, არამედ ფარული დაუფლების გაადვილების საშუალება, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ქურდობას „⁵⁵ რა

⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2009 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, *საქმე N2კ-1034აპ.-08*

⁵⁴ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ 503

⁵⁵ იხ. ვრცლად *ოთარ გამყრელიძე* სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული) თბ., 2004 გვ. 139

იგულისმება სიტყვებში ქონების ნებაყოფლობით გადაცემა, ეს გულისხმობს ერთჯერად თუ მრავალჯერად გამოყენების მიზნით მინდობას? თუ სახეზე გვაქვს თაღლითობა (ეს მომენტი განასხვავებს ამ ორ დანაშაულს ერთმანეთისგან) პიროვნება დამნაშავეს გადასცემს ნივთს არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ, თუნდაც განუსაზღვრელი რაოდენობით გამოყენების მიზნით, სწორედ ამით სარგებლობს თაღლითი და ისაკუთრებს ნივთს, ხოლო როდესაც პირი ანდობს დამნაშავეს ნივთს ერთჯერადი გამოყენების მიზნით და უკანასკნელი ისაკუთრებს მას ფარულად ან ღიად, სახეზეა ქურდობა. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ მოცემულობა, როდესაც უცნობი მოქალაქე გამვლელს სთხოვს მობილურით სარგებლობას ერთჯერადად და შემდეგ მისი დაუფლების მომენტიდან იმალება ადგილიდან. ეს ერთმნიშვნელოვნად ქურდობის შემადგენლობაა, რადგან მოტყუება გამოყენებულია არა ნივთის დაუფლებისკენ, არამედ ფარულად მისი მისაკუთრებისკენ და სწორედ ეს განმასხვავებელი ნიშანი არის სახეზე ახლაც. ამიტომ, ამ ორი დანაშაულის განსხვავება შესაძლოა სწორედ ამ კონკრეტულ დეტალებზე დაკვირვებით, თუ რა იყო ნამდვილი განზრახვა და რა ხერხით განხორციელდა იგი. აქ ქურდობაა იმიტომ, რომ მას ნივთი გადაეცა წმინდა ტექნიკური ფუნქციის ერთჯერადად შესასრულებლად, ხოლო თაღლითობისას ნივთი გადაეცემა მფლობელობაში ან საკუთრებაში.

ერთი შეხედვით მარტივი საკითხი, ხშირად სასამართლო პრაქტიკაში მცდარი შეფასებების საგნად იქცევა და ხდება ქმედების არასწორი კვალიფიკაცია: მაგალითად, ჭ. იმყოფებოდა რკინიგზის სადგურის ბაქანზე. მას სთხოვა მოქალაქე ს-მ, რომ მიეწოდებინა მისთვის ვაგონში იქვე განთავსებული 3 ხელჩანთა, რაზედაც ჭ. დათანხმდა. მან მიაწოდა ორი ხელჩანთა, მაგრამ განიზრახა მისაკუთრება მესამე ხელჩანთის და ამ მიზნით უთხრა ს-ს, რომ თვითონაც ამოვიდოდა და მესამე ხელჩანთას აუტანდა თვითონ, მაგრამ როდესაც ავიდა ხელჩანთასთან ერთად, დაინახა რა ს-ს ყურადღება სხვა რამეზე ჰქონდა გადატანილი, ისარგებლა მომენტით და მეორე ვაგონის კიბიდან ჩავიდა დაბლა და სადგურის სასადილოში ჩააბარა ამ ჩანთაში განთავსებული ხორცი.⁵⁶ ეს ქმედება სასამართლომ დააკვალიფიცირა როგორც თაღლითობა მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სახეზეა აშკარად ქურდობა, რადგან როგორც კაზუსიდან ჩანს ჭ-სა და ს-ს შორის იყო შეთანხმება მხოლოდ იმის თაობაზე რომ ჭ. დაეხმარებოდა ჩანთის ატანაში და ს-ს მისთვის არანაირი უფლებამოსილება არ მიუცია ნივთზე მფლობელობის განკარგვის, ანუ მან მხოლოდ დახმარება სთხოვა, ხოლო ჭ. განახორციელა მოტყუებით ფარული დაუფლების გაადვილება და არა ტყუილის მეშვეობით

⁵⁶ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე N- 050128-1/69

თაღლითობის ჩადენა. ტყუილი იყო გამოყენებული როგორც ფარული დაუფლების გაადვილების საშუალება და ეს როგორც უკვე მრავალჯერ ავღნიშნეთ ახასიათებს ქურდობის ობიექტურ შემადგენლობას. ასე რომ, ამ შემთხვევაში ჩადენილია ქურდობა. სასამართლო კი შეცდა, რადგან არსებული შემთხვევა თაღლითობად დააკვალიფიცირა.

კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ასევე კანონის დეფინიციიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ ქურდობა შეიძლება მხოლოდ მოძრავი ნივთის მიმართ იყოს ჩადენილი, როდესაც თაღლითობა როგორც მოძრავი ნივთის, ასევე ქონებრივი უფლების მიღების მიზნით განხორციელდეს. ეს გახლავთ სწორედ ის დეტალები, რომლებიც ამ ორ სისხლის სამართლის უმართლობის ერთმანეთისგან განგვასხვავებინებს.

3.5 თაღლითობა და დანაშაულთა ერთობლიობა

იურიდიულ მეცნიერება სსკ-ის მე-16 მუხლზე დაყრდნობით ერთმანისგან განასხვავებს რეალურ და იდეალურ ერთობლიობას. თუმცა ამ ტერმინის გამოყენებით კანონმდებელმა არ ისარგებლა.

რეალური ერთობლიობაა იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ან მეტი ქმედების ჩადენით იმდენივე დანაშაული ხორციელდება, რამდენი ქმედებაც არის. ამ შემთხვევაში დროის მონაკვეთს არ აქვს მნიშვნელობა. ხოლო იდეალური ერთობლიობა გავქვს სახეზე, როდესაც ერთი ქმედების საშუალებით ხდება რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება.⁵⁷

ზოგადად, რეალური ერთობლიობა დანაშაულთა უფრო გავრცელებული ფორმაა, ვიდრე იდეალური. იდეალური ერთობლიობა რეალურისაგან განსხვავდება იმით, რომ პირველ შემთხვევაში ხორციელდება ერთი მოქმედება, ხოლო მეორეში - ორი ან მეტი.⁵⁸

თუ ტყუილი არის გამოყენებული უშუალოდ თაღლითობის ჩადენის წინაპირობად და ურომლისოდაც ეს დანაშაული არ გვექნებოდა, დასაშვებია ასევე მისი ცალკე დანაშაულად განხილვა. მაგალითისთვის მოვიყვანოთ შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან.⁵⁹

⁵⁷ იხ. *გ. ტყეშელიაძე, მ. ლეკვეიშვილი, გ. ნაჭყებია* სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი თბ., 2016 (მეორე გამოცემა) გვ., 471

⁵⁸ იხ. *გ. ტყეშელიაძე, მ. ლეკვეიშვილი, გ. ნაჭყებია* სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი თბ., 2016 (მეორე გამოცემა) გვ 85,86

⁵⁹ თბილისის მთაწმინდა-კრწანის რაიონული სასამართლოს არქივი -საქმე N 960

საქმის მასალებიდან დგინდება, რომ ე-ი დაუკავშირდა მ-ლ-ს, რომელმაც დაუდგენელ პირს დაამაზადებინა ყალბი პირადობის მოწოდება, რომლის მეშვეობით ე.ი მ მოახერხა იპოთეკით დაეტვირთა სხვისი კუთვნილი ბინა და სანოტარო წესით 2000 წლის ივლისში სხვადასხვა მოქალაქეებისგან აიღო ფულადი თანხა.

როგორც ვხედავთ, ე.ი-ს თვითონ არ დაუმზადებია ყალბი დოკუმენტაცია. ეს დოკუმენტაცია მან მხოლოდ თაღლითობის ჩასადენად გამოიყენა, ზოგიერთ ავტორს მიაჩნია რომ ყალბი დოკუმენტების გამოყენებაც კი ზოგადად მოტყუების ნაირსახეობაა და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს.⁶⁰ ეს პოზიცია არასწორია, რადგან მართალია ყალბი დოკუმენტების დამზადება უშუალოდ თაღლითობის ჩასადენად განხორციელდა, მაგრამ თავისი ბუნებით აღნიშნული ქმედება სხვა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობით. კერძოდ სსკ-ის 180-ე მუხლის შესაბამისი ქვეპუნქტით და ასევე სსკ-362 მუხლით.

ამ საქმის განხილვის დროს სასამართლომ სწორად იმჯელა და ქმედება თაღლითობასთან ერთად დააკვალიფიცირა სსკ-362 მუხლის 1-ლი ნაწილით, ასევე მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც სწორი კვალიფიკაციაა.

მნიშვნელოვანია ასევე, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი თაღლითობის დროს რამდენადაა საჭიროა საქართველოს სსკ-ის 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) ან 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან ერთად თაღლითობის კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობის წესით. იმ საკითხის თაობაზე, თუ როდის უნდა მოხდეს ზოგადი ნორმის გამოყენება და როდისაა საჭირო კერძო ნორმის მითითება, არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.⁶¹ განსახილველ საქმეში პირს წარდგენილი ჰქონდა ბრალდება რამდენიმე დანაშაულისათვის, მათ შორის საქართველოს სსკ-ის 180-ე, 332-ე და 333-ე მუხლების ერთობლიობით. საკასაციო სასამართლო ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოებს დაეთანხმა მსჯელობასა და დადგენილ ფაქტებში ბრალად შერაცხული ქმედებების დადასტურების თვალსაზრისით, თუმცა მან გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ ბრალდებულის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს საქართველოს სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლებით გათვალისწინებული

⁶⁰ იხ.: *წულაია ზ.*, ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი., ინტელექტი თბ., 2001 გვ. 75

⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2006 წლის 15 დეკემბერს გადაწყვეტილება, *საქმე 2კ-932აპ-06*.

დანაშაულები, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ პირის ქმედებაში სისხლის სამართლის ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობაც, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელსაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, მაშინ აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით. ვინაიდან განსახილველ საქმეში საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი მაკვალიფიცირებელ გარემობად ითვალისწინებს თაღლითობას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დამატებით, ზოგადი ნორმებით -332-ე და 333-ე მუხლებით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებს.

შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკა უნდა გავრცელდეს სხვა შემთხვევებშიც და სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ სწორედ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, რათა უსაფუძვლოდ არ დაუმძიმდეთ ბრალდებულებს მდგომარეობა.

თავი IV. თაღლითობის ანალიზი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით და თაღლითობის სტატისტიკა

4.1. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

ნაშრომის აღნიშნულ თავში სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითების მოშველიებით განხილული იყო თაღლითობის სასამართლო პრაქტიკა, თუ რა ქმედებას აკვალიფიცირებს სასამართლო თაღლითობად და როგორ ასაბუთებს იგი აღნიშნულს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის⁶² საქმე №1ბ/578-12 გადაწყვეტილებით, სადაც ფაქტობრივ გარემოებებზე დადგენილი იყო, რომ დამნაშავე ს.გ.-მ 2009 წლის იანვარში გაიცნო ნ.რ., რომელთანაც ჩამოუყალიბდა მეგობრული ურთიერთობა. ს.გ.-სთვის ცნობილი გახდა, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს, ნ.რ.-მ, საკუთარი „BMW“-ს მარკის ავტომანქანით, დაბა ს.-ში მოძრაობისას მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომლის შედეგად გარდაიცვალა მოქ. ო.ს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ქ. გორის საპატრულო პოლიციაში დაიწყო გამოძიება და შემდგომში ნ.რ. მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ს.გ.-მ ისარგებლა აღნიშნული გარემოებით და განიზრახა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა ნ.რ.-ს კუთვნილ ფულად თანხებს. ამ მიზნით ს.გ. ნდობაში შევიდა ნ.რ.-სთან და განუცხადა, რომ იგი, თითქოსდა, დაზარალებულის ოჯახის წევრებისათვის გარკვეული ოდენობის ფულადი თანხის გადახდის შემთხვევაში შეძლებდა გარდაცვლილ ო.ს.-ს ოჯახის წევრებთან წამოჭრილი პრობლემის მოგვარებას, ასევე შეჰპირდა პრობლემების მოგვარებას გორის რაიონულ პროკურატურაში. ნ.რ. ს.გ.-ს წინადადებას დასთანხმდა და დარწმუნებულმა იმაში, რომ ს.გ. მის სასარგებლოდ იმოქმედებდა, ამ უკანასკნელს, გარდაცვლილის ოჯახის წევრებისათვის გადასაცემად, ეტაპობრივად გადასცა ფულადი თანხები, რამაც მთლიანობაში შეადგინა 1560 აშშ დოლარი, 1050 ლარი და 100 ევრო. ს.გ.-მ, მოქმედებდა რა თაღლითური განზრახვით, შეთანხმების პირობა არ შეასრულა, არ გადასცა ნ.რ.-სთვის გამორთმეული ფული ო.ს.-ს ოჯახის წევრებს და მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა ნ.რ.-ს კუთვნილ ფულად თანხებს. ს.გ.-ს დანაშაულებრივმა ქმედებამ დაზარალებულ ნ.რ.-სთვის 3870 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული ქმედებით ს.გ.-მ ჩადინა

⁶² თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის საქმე №1ბ/578-12 გადაწყვეტილება.

<http://www.library.court.ge/judgements/64072013-09-13.pdf> (მოპოვების თარიღი 10.06.2019)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული;

ასევე, ამ განაჩენით, მას ბრალად ედებოდა სხვა ორ ეპიზოდში ზუსტად იგივე სახის ქმედება, რომელიც მიმართული იყო მოტყუებით ფულადი სარგებლის მიღებაში. ამ შემთხვევაში, სახეზე იყო სამი იდენტური ეპიზოდი, მაგრამ ეს სამი ეპიზოდი იყო ერთმანეთისგან განცალკევებული და ამიტომაც სასამართლომ იმსჯელა სწორად.

ერთობლიობაში ს.გ.-მ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (სამი ეპიზოდი);

„სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად, როდესაც პირი მოტყუებით ეუფლება სხვის საკუთრებაში არსებულ ნივთს ან მის ქონებრივ უფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სახეზეა თაღლითობის შემადგენლობა. ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ის გარემოება, რომ დამნაშავე ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებად იყენებდეს მოტყუებას. თაღლითობის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია რომ მოტყუება, როგორც ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების კონკრეტული საშუალება _ ხერხი, წინ უსწრებდეს თაღლითის მიერ ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღების ფაქტს. ამასთან, მოტყუება გულისხმობს ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებას ან/და გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვას ქონების მესაკუთრის ან მფლობელის შეცდომაში შეყვანის მიზნით. მოცემული დანაშაულის სპეციფიკურ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ გარეგნულად ქონების თუ ქონებრივი უფლების გადაცემა დამნაშავესათვის ხორციელდება ნებაყოფლობით, თავად დაზარალებულის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი ან გამოყენებულია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული ნდობის ფაქტორი მოცემულ შემთხვევაში ს.გ. მოქმედებდა განზრახ, მისი ქმედებები უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, გამოიყენა რა მასსა და დაზარალებულებს შორის არსებული ნდობისა და კეთილგანწყობის ფაქტორი, დაეუფლა დაზარალებულების – ნ.რ.-ს, რ.ს.-ს და ლ.ბ.-ს კუთვნილ ფულად თანხებს – შესაბამისად 3870, 6100 და 2900 ლარს, ატყუებდა მათ, რომ იყო პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირი, ექიმი. შეეძლო ამა თუ იმ საქმის მოგვარება, კერძოდ, პროკურატურაში საპროცესო შეთანხმების საკითხის მოგვარება (დაზარალებულ რ.ს.-ს ეპიზოდი), ბანკიდან სესხის გამოტანა (დაზარალებულ ლ.ბ.-ს ეპიზოდი),

დაზარალებულის ოჯახის წევრებისათვის თანხის გადახდის გზით მათთან პრობლემების მოგვარება (დაზარალებულ ნ.რ.-ს ეპიზოდი). რეალურად კი ს.გ.-ს არც შეეძლო და არც სურდა დაზარალებულებისათვის მიცემული პირობების შესრულება. მისი მიზანი იყო მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა დაზარალებულთა კუთვნილ ზემოხსენებულ ფულად თანხებს⁶³ - ამ გადაწყვეტილებაში მოსამართლემ ზუსად ახსნა ის კანონის კონსტრუქცია, რომელიც უშუალოდ თაღლითობის კვალიფიკაციისთვის არის მნიშვნელოვანი, რომ თაღლითობის მთავარი საშუალება - ხერხი წინ უნდა უსწრებდეს მისი ჩადენის მომენტს.

ზემოთ განხილულ სუსგ-ში საქმე ეხებოდა დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის შემთხვევას მაგრამ ამ გადაწყვეტილებაში ასევე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა, კერძოდ ზიანის ოდენობა და მისი სახე როდესაც საქმე ეხება მრავალი დაზარალებულის ფინანსურ მდგომარეობას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის №236აპ-12 ქ. თბილისი კ-ერ, 236აპ-12 გადაწყვეტილებაში, სადაც სასამართლომ დაადგინა რომ „ რ. კ.-მ და შ. ს.-მ განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდნენ საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილ თანხებს და ამ მიზნით ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში დაარეგისტრირეს არასამეწარმეო იურიდიული პირი - „ადამიანის უფლებათა დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის არასამთავრობო დემოკრატიული კავშირი“, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა რ. კ., ხოლო მოადგილედ - შ. ს.. დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად რ. კ.-სა და შ. ს.-ს უნდა მოეზიდათ მოქალაქეები, რომლებსაც დაარწმუნებდნენ, რომ მათ ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „პრეზიდენტ კენედის ფონდიდან“ გამოეყოფოდათ სოციალური გრანტი და საწევროს სახით დაწესებული ყოველთვიური 3 ლარის გადახდის სანაცვლოდ თითოეული გაწევრებული მოქალაქე ყოველთვიურად მიიღებდა 30 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, ხოლო უმუშევარი მოქალაქე - ასევე ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით დახმარებას 1 წლის განმავლობაში. გეგმის განსახორციელებლად რ. კ. და შ. ს. დაუკავშირდნენ საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბ.-ს“ თავმჯდომარე ე. კ.-ს, რომელთანაც 2010 წლის 27 ოქტომბერს ფორმალურად გააფორმეს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რეალურად კი ე. კ.-ს უნდა უზრუნველყო მოქალაქეთა მოზიდვა, მათი გაწევრება კავშირში და საწევროს სახით გადახდილი თანხის შეგროვება, რასაც შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გაინაწილებდნენ. ე. კ.

⁶³ იხ. ვრცლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის საქმე №1ბ/578-12 გადაწყვეტილება.

პროექტით დაინტერესებულ პირებს არწმუნებდა მატერიალური დახმარების სამომავლოდ მიღების გარდაუვალობაში, ავსებინებდა ანკეტებს და თითოეული წევრისაგან იღებდა 3 ლარს. ამ გზით მან მოიზიდა 11 053 მოქალაქე, რომელთა ნდობის ბოროტად გამოყენებით ჯგუფის წევრები დაეუფლნენ 33 161 ლარს. თაღლითური სქემის მასშტაბის განვრცობისა და დამატებითი მატერიალური სარგებლის მისაღებად რ. კ. და შ. ს. 2010 წლის ნოემბერში დაუკავშირდნენ ხ.-ი მცხოვრებ ზ. ხ.-ს და შესთავაზეს კავშირის რეგიონული ოფისის გახსნა. იგი ამავდროულად დაარწმუნეს, მოეზიდა ხ.-ს რაიონში მცხოვრები პენსიონერი და უმუშევარი მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებდნენ მატერიალურ დახმარებას და გრანტის მიღების სანაცვლოდ, 3 ლარის გადახდის პირობით, გაეწევრებინა კავშირში. აღნიშნული საქმიანობის სანაცვლოდ ზ. ხ.-ს დაჰპირდნენ 400 ლარის ოდენობით ხელფასის დანიშვნას „⁶⁴ სასამართლო მსჯელობას იმაზე, რომ თაღლითობას ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა იმ კუთხით, რომ მისი ჩადენის შემდეგ დაზარალებული შესაძლოა იყოს ათი, ასი ან შესაძლოა ათასი პირიც კი და ამ შემთხვევაში პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს სწორი კვალიფიკაცია დამდგარი ზიანის შეფასებაში. ამიტომ სასამართლო აღნიშნავს, რომ „ ამ საკითხის გადაწყვეტა კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მიიღებს სასამართლო ზიანის ოდენობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად, კერძოდ, ცალკე აღებული, ერთი დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, თუ იმ ზიანის მთლიან მოცულობას, რაც ერთობლივად მიადგა ყველა დაზარალებულს“ სასამართლო გადაწყვეტილებაში უთითებს ასევე, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მოშველიებით დიდ ოდენობად კვალიფიკაცია ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი დაზარალებულის მიმართ მაინც იყო დიდი ოდენობის ზიანი დამდგარი, რასაც არასწორად აფასებს და ახალი პრაქტიკას ამკვიდრებს, კერძოდ, „დღეისათვის მოცემული საკითხისადმი ასეთი მიდგომა და პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, რადგან მან იმ ვითარებაში, როდესაც დანაშაულის ჩადენის სულ უფრო დახვეწილი და ქმედითი საშუალებები ჩნდება ერთიანი ქმედებით დიდი მასშტაბის მქონე ზიანის გამოწვევის შესაძლებლობათა გაფართოების თვალსაზრისით, შესაძლებელია პოტენციურ დამნაშავეს უზიდავოს დანაშაულის ჩასადენად ისეთი ხერხების გამოსაყენებლად, რომლის მეშვეობითაც, ერთი მხრივ, მრავალი ადამიანის ინტერესების ხელყოფის გზით, მან მიიღოს დიდი შემოსავალი, ხოლო, მეორე მხრივ კი – თავი დააღწიოს მკაცრ პასუხისმგებლობას მძიმე და საშიში დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი. ამ

⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №236აპ-12 22 ნოემბერი, 2012 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2012-7-12-uni.pdf>

ვითარებამ შესაძლოა, წარმოშვას აშკარა უსამართლობა და გაუმართლებელი დისპროპორცია ფაქტობრივად ერთი და იმავე სიმძიმის ქმედებათა დასჯადობაში. მაგალითად, თუკი ერთმა დამნაშავემ თაღლითობით მოახერხა ისეთ დაზარალებულთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის მოტყუება, რომელიც ერთი იურიდიული პირის სახით იყო წარმოდგენილი და ხსენებული ქმედება სწორედ ამ იურიდიული პირის მიმართ იყო ჩადენილი, რომლის ზარალმა დიდ ოდენობას მიაღწია, იგი დაისჯება მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო სხვა დამნაშავე, რომელმაც ერთი ქმედებით შესაძლოა ბევრად უფრო მეტი რაოდენობის, ხელმოკლე და სოციალურად შეჭირვებული ადამიანი მოატყუა და ზარალმა დიდი ოდენობა მხოლოდ ცალკეული დაზარალებულისათვის ერთობლივად მიყენებული, მცირე ან მნიშვნელოვანი ზიანის საერთო მოცულობით შეადგინა, დაისჯება ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. უფრო მეტიც, შესაძლებელია ეს უკანასკნელი უფრო მსუბუქად დაისაჯოს იმ პირთან შედარებითაც კი, რომელმაც ეკონომიკურად და ფინანსურად ფრიად შეძლებულ და მდიდარ ადამიანს თაღლითურად გამოსტყუა თუნდაც 151 ლარი, ანდა იმავე ღირებულების ნივთი და ამ ოდენობის თანხით აზარალა, ეს მაშინ, როდესაც სრულიად აშკარაა ჩადენილი ქმედებების სიმძიმესა და თვით დამნაშავე პიროვნებათა საშიშროებას შორის არსებული სერიოზული განსხვავებაც “⁶⁵

სასამართლო მიუთითებს, რომ დაუშვებელია ადამიანთა მიმართ, რომლებმაც საზოგადოებრივად უფრო საშიში ქმედება განახორციელეს, გამოყენებულ იქნას შედარებით ლოიალური დამოკიდებულება, ვიდრე იმათ მიმართ, რომლებმაც განახორციელეს დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა, მაგრამ მათი დანაშაული უფრო სოციალურად ნაკლები რისკის შემცველია. ამიტომაც დიდი პალატა, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დაასკვნის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2012 წლის 7 მაისს რ. კ.-ს მსჯავრდების საქმეზე გამოტანილ განაჩენში წარმოდგენილი პოზიცია, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულის ქმედება დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, როგორც თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით, მართალია, არ ეთანხმება ანალოგიურ საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ წინათ დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას, მაგრამ ამჟამინდელი საკანონმდებლო რეალობის გათვალისწინებითა და დასჯადობით

⁶⁵ იხ. ვრცლად საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის №236აპ-12 / 236აპ-12 გადაწყვეტილება

პოლიტიკაში სამართლიანობის პრინციპის უზრუნველყოფის,⁶⁶ აგრეთვე, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლში მოცემული ნორმების ადეკვატური და სრულყოფილი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, უნდა ჩაითვალოს უფრო სწორად და დასაბუთებულად. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ამ ახალი განმარტების მიხედვით⁶⁷ - ეს გადაწყვეტილება უნდა დაედოს საფუძვლად ყველა იმ საკამათო შემთხვევას, როდესაც ერთიანი მიზნით და ერთი განზრახვით ხდება თაღლითობის განხორციელება. რადგან ეს დანაშაული სოციალურად უფრო მეტ საფრთხეს შეიცავს, ვიდრე სხვა ამგავრი ნაკლებად დასაძრახი ქმედება.

4.2 სამართლებრივი სტატისტიკა თაღლითობის შესახებ

ნაშრომის ბოლო დასკვნით თავში განხილულია თაღლითობის სტატისტიკა უკანასკნელი წლების მაჩვენებლების მიხედვით. მოყვანილი იქნება როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში შესული საქმეების სტატისტიკა, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები სსკ-ის 180-ე მუხლით აღძრულ საქმეებზე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით კი წარმოდგენილია აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედარებითი ანალიზი.

რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა(შსს მონაცემებით)

პერიოდი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
დანაშაულის რაოდენობა	1377	1568	2032
გახსნის პროც. მაჩვენებელი	55.92 %	48.98 %	31.5 %
დანაშაულის მატება	121	191	464

⁶⁶ იხ ვრცლად საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის №236აპ-12 / 236აპ-12 გადაწყვეტილება

⁶⁷ იხ. იქვე

თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები⁶⁸

პერიოდი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
თაღლითობა, მსჯავდებული პირი	290	277	493
თაღლითობა, გამართლებული პირი	4	6	12

როგორც სტატისტიკა გვაჩვენებს, 2015 წლის შემდგომ ყოველ წელს მატულობს თაღლითობის ჩადენის შემთხვევები, რაც მის პრობლემატურობაზე მეტყველებს. სტატისტიკის მიხედვით, სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს აყენებს თითქმის ყველა შემთხვევაზე, ერთეულების გარდა, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ დამნაშავეები სრულად ასრულებენ თაღლითობის ობიექტურ შემადგენლობას. თაღლითობა დღემდე რჩება ერთ-ერთ საკმაოდ საშიშ დანაშაულად, რომელიც საზოგადოებისთვის საფრთხის მომტანია. ამიტომაც საჭიროა, სწორად გაიმიჯნოს ამ ქმედების შემადგენლობა მსგავსი სისხლის სამართლებრივი ქმედებებისგან, რათა არ გაგრძელდეს აღრევა სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული დანაშაულების სხვა მსგავს სისხლის სამართლებრივ ქმედებებთან.

⁶⁸ იხ. ვრცლად თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები თაღლითობის მუხლით სასამართლოში შესული საქმეების შესახებ. <http://www.tcc.gov.ge/page1/> (მოპოვების თარიღი 20.06.2019)

დასკვნა

ნაშრომში განხილული თაღლითობის საკანონმდებლო ცნების, მისი დამახასიათებელი ნიშნების, მომზადებისა და მცდელობის, ასევე ამსრულებლობის პრობლემური საკითხების, თაღლითობის მონათესავე დელიქტებისგან გამიჯვნის და სასამართლო პრაქტიკული მაგალითების განხილვის შედეგად გამოიკვეთ გარკვეული გარმოებანი.

თაღლითობის მაკვალიფიცირებელი პირველი და მთავარი ნიშანი არის მოტყუება, რომელიც შესაძლოა აქტიური და პასიური სახით გამოიხატოს. ასევე შესაძლებელია, ნდობის ბოროტად გამოყენება, რომელიც მოტყუების სახეცვლილებაა და მისი ცალკე ხერხად განხილვა არაა მართებული. მოტყუების გარეშე თაღლითობა დაუშვებელია. მოტყუება ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს ნივთის დაუფლებას ან ქონებრივი უფლების მიღებას, რათა სახეზე იყოს თაღლითობა.

პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ასევე თაღლითობის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნა. ამ შემთხვევაში რამდენიმე დეტალი უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან. მათი გამიჯვნისას მთავარია იმის ცოდნა, თუ რა ეტაპზე დამთავრდა ქმედება. თუ თაღლითმა მოამზადა ყველა საჭირო დეტალი თაღლითობისთვის, მაგრამ მცდელობამდე რეალურად ვერ მივიდა, სახეზე იქნება მომზადება, ხოლო თუ თაღლითობის განმახორციელებელმა პირმა ყველა მოქმედება განახორციელა, რაც ფიზიკურად შეეძლო, დაეუფლა თაღლითობის საგანს, მაგრამ მისი განკარგვა ვერ შეძლო, სახეზე გვექნება თაღლითობის მცდელობა. თაღლითობის მცდელობა გვექნება მაშინაც, თუკი ადგილი აქვს უშედეგო მოტყუებას, ანდა თუკი თაღლითობის ობიექტური შემადგენლობის დამაფუძნებელი ქმედების განხორციელებას მაინც ვერ მოჰყვა ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება.

რაც შეეხება უშუალოდ თაღლითობისა და მონათესავე დელიქტების განსხვავებას, პირველ რიგში, ვისაუბროთ თაღლითობისა და კრედიტის უკანონოდ მიღებაზე, მათ შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება, რადგან კრედიტის უკანონოდ მიღება მიმართულია ფულად საკრედიტო სისტემის წინააღმდეგ, ხოლო თაღლითობა ზოგადად საკუთრების უფლებაა. რაც შეეხება მოტყუებას როგორც ხერხს, კრედიტის უკანონოდ მიღების დროს ეს ხერხი შესაძლოა არ იყოს გამოყენებული, ხოლო თაღლითობის დროს კი აუცილებელია მისი გამოყენება. ასევე, ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ თაღლითობის ჩადენის შემთხვევაში გამორიცხულია სარგებლის უკან დაბრუნების შესაძლებლობა, ხოლო სსკ-ის 208-ე მუხლის შემთხვევაში კი

სრულიად შესაძლებელია. ასე რომ, ამ დანაშაულთა განსხვავება არ არის რთული.

სასამართლო პრაქტიკის, საკანონმდებლო ცნებებისა და იურიდიული ლიტერატურის განხილვის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილად პრობლემაა მითვისებისა და თაღლითობის გამიჯვნა იმ მხრივ, რომ უმართლობის ჩამდენი პირის ნებისა და განზრახვის დადგენა მეტ-ნაკლებად რთულია. სირთულეს წარმოადგენს განსაზღვრო, როდის იწყება მითვისება და მთავრდება თაღლითობა და პირიქით, მაგრამ მაინც შეგვიძლია მათ შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი დავაფიქსიროთ. ეს არის დანაშაულის ჩადენის ხერხი; თაღლითობის დროს მოტყუება, როგორც დანაშაულის ხერხი, წინ უსწრებს ქმედებას, რათა მოხდეს ნივთის ან ქონებრივი უფლების დაუფლება, ხოლო მითვისების დროს, ნივთის მფლობელს არ სჭირდება მისი დაუფლებისთვის ტყუილი, რადგან იგი კანონისმიერი ვალდებულებიდან ან სხვა ფორმით უკვე ფლობს აღნიშნული დანაშაულის საგანს.

თაღლითობისა და მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისგან გამიჯვნა ზოგჯერ გართულებულია. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ თაღლითობისგან განსხვავებით, სადაც მფლობელი კარგავს ნივთს ან ქონებრივ უფლებას, სსკ-ის 185-ე მუხლის შემთხვევაში არ მცირდება მისი კაპიტალი, უბრალოდ, იგი ვერ იღებს მისთვის განკუთვნილ შემოსავალს. იგი ქონებრივი გამორჩენის მიღების მეთოდითა და ხასიათით მკვეთრად განსხვავდება მისგან.

რაც შეეხება თაღლითობის განსხვავებას ქურდობისაგან, ქურდობა შეიძლება მხოლოდ მოძრავი ნივთების მიმართ, ხოლო თაღლითობა - როგორც მოძრავი, ისე უძრავის მიმართ. მათი განმასხვავებელი ნიშანი კი დანაშაულის ხერხში მდგომარეობს. ქურდობის დროს დამნაშავე ფარულად ცდილობს მიითვისოს ესა თუ ის მოძრავი ნივთი, ხოლო თაღლითობისას პირიქით, ღიად ეუფლება ქონებრივ უფლებას ან ნივთს. ამისთვის კი იყენებს მოტყუებას, როგორც დანაშაულს ხერხს.

დაბოლოს, თაღლითობა აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს სამოქალაქო დელიქტებისაგან. ასეთ დროს აუცილებელია გამოიკვეთოს პირის განზრახვა, მდგომარეობა, კეთილსინდისიერება, საკმარისი მტკიცებულებების არსებობა, პირთა შორის ნდობის საკითხი, გამოყენებული ხერხები, მიზანი და სხვა აუცილებელი ნიშნები. ეს ყველაფერი კი საჭიროა იმისათვის, რომ პირი არ მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უსამართლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობის შემადგენლობა თითქოს განსხვავდება სხვა ეკონომიკური დანაშაულებისაგან, სასამართლო პრაქტიკაში მაინც ვხვდებით ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის პრობლემებს. თითოეული შემთხვევა გამოძიების სტადიიზვე უნდა განიხილონ ჯეროვნად. მისი ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობების სწორად გაანალიზება დაეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს, სწორად დააკვალიფიცირონ დანაშაული და არ მოხდეს სასამართლოში მათი ხელახალი კვალიფიკაცია, რაც ართულებს მართმსაჯულების პროცესს, არღვევს სწრაფი მართმსაჯულების ძირეულ პრინციპს.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში თაღლითობის შემთხვევები წლიდან წლამდე არათუ მცირდება, არამედ იზრდება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ბევრი სამუშაო აქვთ შესასრულებელი, რათა შეამცირონ დანაშაულთა ჩადენის მაჩვენებელი. ასევე, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ბრალდებულ პირთა უმეტესობას მსჯავრი დაედო აღნიშნული დანაშაულისთვის, რაც ტენდენციურ სახეს იღებს.

ბიბლიოგრაფია

საკანონმდებლო აქტები

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 08.05.2019.

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე

1. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები ტომი III გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015 ;
2. *გამყრელიძე ო., ტურავა მ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004;
3. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი ,ეკონომიკური დანაშაული გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004 ;
4. *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება გამომცემლობა „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, თბ., 2008
5. *თოდუა ნ., ლევკვიშვილი მ., ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016 ;
6. *მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011;
7. *ლევკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019 ;
8. *ტყეშელიაძე გ., ლევკვიშვილი მ., ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი , გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016 ;
9. *წულაია ზ.*, ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2001 ;
10. *წულაია ზ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი *მეორე ტომი* გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2001.

გამოყენებული ლიტერატურა უცხოურ ენაზე

1. *Жалинский А. Э.*, Современное немецкое уголовное право, *М.*, 2004;
2. *Жовнир С.А.*, Уголовно-правовая оценка лжепредпринимательства - журнал издательства «ОПТИМ.RU». МГУ. 2003;
3. *Скуратова Ю.И., Лебедева В.М.*, Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Под общей редакцией *М.*, 1996;
Сборник падстволений Пленума Президиума и определений Судебной коллегии по уголовним делам *ВС РФ*. М 1984 ;
4. *Tröndle / Fischer*, Strafgesetzbuch und Nebengesetze. 51 Aufl. München: **C.H.Beck**, 2003;

5. Швейцарский Уголовный кодекс Уголовные кодексы зарубежных стран М., 2001;
6. Уголовное право зарубежных стран. Особенная часть. М. „KARMON“ 2004 г ;

სასამართლო პრაქტიკული ანალიზისას გამოყენებული საქმეები

- თბილისის სააპელაციო სასამართლო, განაჩენი, საქმე №1/ზ-85-18 (2018-11-07)
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2011 წლის 19 აპრილის განაჩენი, საქმე N2კ-1106აპ.-10
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N2კ-2108აპ.-07
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №236აპ-12 22 ნოემბერი, 2012
- უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებ, საქმე N2კ-75აპ.-07
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2009 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N2კ-1034აპ.-08
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე N 050128-1/69
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2006 წლის 15 დეკემბერს გადაწყვეტილება, საქმე 2კ-932აპ.-06.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის საქმე №1ზ/578-12 გადაწყვეტილება.

ინტერნეტმასალები

- <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba23.pdf>
(მოპოვების თარიღი 30.05.2019)
- <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2012-7-12-uni.pdf>
(მოპოვების თარიღი 01.06.2019)
- <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba1.pdf>
(მოპოვების თარიღი 06.06.2019)
- <http://www.library.court.ge/judgements/64072013-09-13.pdf>
(მოპოვების თარიღი 20.06.2019)
- <http://sas.com/offices/eupore/russia/>
(მოპოვების თარიღი 10.06.2019)